ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 6 ივლისი, 2020

№143 (8407)

ფასი: 60 თეთრი

## ვახო ახვლედიანი: „ხიდიდან გადმოსულ შაქარაშვილს მანქანიდან გადმოსული რამდენიმე კაცი მისდევდა“




მოწმე დრამატული საღამოს მოვლენებს დეტალურად იხსენებს გვ.5

# „მერაბიშვილი კენჭს იყრის თუ არა, ელისაშვილმა უნდა გადამიწყვიტოს?!“



გვ.2

მეგი გოცირიძე: „გიორგი რურუა გარეთ რომ იყოს, „ოცნების“ ვითომ კაი ტიპები ველარ იბლატავებენ“



„ელისაშვილს კი ძალიან არასერიოზულად აღვიქვამ. ის, რომ თბილისის მერის არჩევნების დროს „ოცნებამ“ ნაციონალების ბიულეტენები გადაუწყო და ასე შემდეგ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მე არ ვიცი, საერთოდ რა პრეტენზიებს აცხადებს, კაცმა ორ მესიჯს ვერ მოუარა“

## ლევან ალაფიშვილი: „ჩვენი პოლიტიკური სისტემა ავად არის“



გვ.4

„გარდამავალი პერიოდი იქნება ეს სისტემა. სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წელს ამოქმედდება“



გვ.3

## დავით ბერძენიშვილი: „ნაციონალებთან ბლოკს არ გამოვრიცხავთ“

## „ჩვენ მოვიფიქრეთ სქემა, როგორ შეიძლება 20 ათასი ხმის აღება“



გვ.3

მამუკა ტუსკაძე: „კოორდინატორების მახინჯი სისტემაა – მაყვალა თუ ჟუჟუნა კოორდინატორებს რომ ეძახიან, არ შეიძლება, იყოს. ეს სისტემა არ დანგრეულა“

## თამარ ჩხეიძე: „არ მჯერა, „ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოსთან“ იყოს გარიგებული“

გვ.4



„თანასწორი საარჩევნო გარემოს არსებობა ამ ეტაპზე გამორიცხულია“

### შინაგან საქმეთა მინისტრი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

გვ.5



ISSN 1987-9385

**5** მოჭიდავე იური ლომაძე ადამიანის გატაცებისა და წამებისთვის დააკავეს

**6** თურქეთი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს

**5** რუსთავში 30 წლის ცოლმა 40 წლის ქმარს სცემა

**6** ვენაში რამზან კადიროვის მოწინააღმდეგე მოკლეს



# „ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ?!“

## მეგი გოცირიძე: „გიორგი რურუა გარეთ რომ იყოს, „ოცნების“ ვითომ კაი ტიპები ველარ იბლატავებენ“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ოპოზიციაში არსებული პრობლემების შესახებ მეგი გოცირიძე პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– მეგი, ოპოზიციის შიგნით კვლავ დიდი არეულობაა. დაასახელეს თბილისის მაჟორიტარების ნაწილი და დანარჩენზე ვერ თანხმდებიან. თაკო ჩარკვიანი დაუპირისპირდა ოპოზიციურ ერთობას, ალეკო ელისაშვილმა კი საერთოდ დატოვა ეს გაერთიანება. რა ხდება?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ იმ ოპოზიციურ ერთობაში, რომელსაც „ძალა ერთობაშია“ ჰქვია, მწვავე დაპირისპირებაა.

***– ნათელაშვილის ფორმატად წოდებულ ერთობაშია დიდი დაპირისპირება.***

– დღეს ნაცმოძრაობას ოცნებაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავს, ადგა ეს რეიტინგული პარტია და თქვა, აგერ ორი კვოტა მიმაქვს და დანარჩენი თქვენ გაინაწილეთო. მე ვარ ამ პარტიის არა წევრი, არამედ აქტიური მხარდამჭერი და, რაც ვიცი და რასაც ვხედავ, არის ის, რომ აილო თავისი ორი კვოტა ნაცონალურმა მოძრაობამ და დაიწყო მუშაობა. დანარჩენი ვინ ვის ებრძვის, არ ვიცი.

კი ბატონო, თაკო ჩარკვიანმა დამოუკიდებლად დააყენა თავისი კანდიდატურა და, მე რომ საბურთალოს მხარდამჭერი ვიყო, აუცილებლად დავუჭერდი მხარს თაკო ჩარკვიანს.

ელისაშვილს კი ძალიან არასერიოზულად აღვიქვამ. ის, რომ თბილისის მერის არჩევნების დროს „ოცნებამ“ ნაციონალების ბიულეტენები გადაუწყო და ასე შემდეგ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მე არ ვიცი, საერთოდ რა პრეტენზიებს აცხადებს, კაცმა ორ მესიჯს ვერ მოუარა.

***– იმ სკანდალურ მესიჯებს გულისხმობთ?***

– დიახ! ან მოიტყუა მაშინ ბესელია-კობახიძესთან დაკავშირებით და ან ფული აილო და გაჩუმდა! ორ მესიჯს ვერ უპატრონა კაცმა და ქვეყანას უპატრონებს?! ატეხა სკანდალი, ქარიშხალი ჭიქაში და მერე რა გააკეთა?! ასეთი კაცი ორ მაჟორიტარს ითხოვს?! მე გამარჯვებული ვარო, გაიძახის. ვის ხარჯზე? ბიძინამ დახარჯა ფული და ბიძინა ივანიშვილმა გაიყვანა. მართლა ვერ ვხვდები, რა პრეტენზია აქვს.

ამ ორი მესიჯის ამბავი დამოკლეს მახვილივით კიდია მის კისერზე, თორემ განა მე არ ვიცი, ეკა ბესელია და მანანა კობახიძე რას წარმოადგენენ და რისი მკადრებლები არიან.

***– ეკა ბესელია გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში იჯდა.***

– სულ არ მაინტერესებს, სად იჯდა ეკა ბესელია! მე მაქვს ჩემი პოზიცია, ჩემი დამოკიდებულება და ამას ვიტყვი ყველგან და ყოველთვის. სწორედ ამ ქალბატონებმა აქციეს 200-მდე პატიმარი პოლიტპატიმრად. რუსეთის ჯაშუშები, ნარკობარიგები, კრიმინალები, ადამიანები, რომლებსაც საერთოდ პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონიათ, პოლიტპატიმრის სტატუსით გამოუშვეს და ამაში ფული აიღეს. ჯერ აუტეხა სკანდალი ელისაშვილმა ამ ქალებს და, როდესაც საგამოძიებო ორგანოებმა დაუძახეს, მესიჯები ველარ მიიტანა, აღარ მაქვსო. ასეთი რამე გაგიგიათ?! ჩვეულებრივი ქოცია, მენტალური ქოცი! მე უნდა მოვიდე ხელისუფლებაშიო. ვისთან, ანა დოლიძესთან ერთად, რომელიც თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო?!

***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლების სატელიტები არიან?***

– კი, რა თქმა უნდა! ელისაშვილიც, ინაშვილიც, ახლა მარშიც – ყველანი „ოცნების“ დაკვეთით გააქტიურდნენ და ეს თითო-ოროლა ადამიანი ივანიშვილს სჭირდება იცით, რისთვის?!

***– რისთვის?***

– იმისთვის, რომ იქ ბიძინა ივანიშვილს უმრავლესობა შეუქმნან, თუმცა ესეც არ უშველის ბიძინას. მთელი ქვეყანა მაგას აგინებს. ველარ მოვლენ ხელისუფლებაში!

***– ახალი კანონით ჩატარდება არჩევნები. „ოცნების“ მხარდამჭერები ამბობენ, ოპოზიციამ იმიტომ არ დაუჭირა მხარი, რომ ამ ახალი სისტემითაც ვერ შევლენ პარლამენტში, ისეთი დაბალი რეიტინგი აქვთო. ამაზე რას იტყვით?***

– ამას რომ ლაპარაკობენ, ვის აყენებენ შეურაცხყოფას? სად ცხოვრობენ, სხვა რეალობაში, სხვა საქართველოში თუ რა ხდება?! რა კვლევა მჭირდება იმისთვის, რომ „ოცნება“ ურეიტინგოა?! სადაც გინდა, წადი, გინდ სოფლად, გინდ ქალაქად, ნებისმიერ ადგილას – ყველა აგინებს ივანიშვილს!

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ᲕᲐᲮᲝ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ: „ᲮᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚ ᲨᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲐ“

## მოწმე დრამატული საღამოს მოვლენებს დეტალურად იხსენებს

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოკითხული ერთ-ერთი პირის, დაზარალებულ ვახო ახვლედიანის ჩვენების მიხედვით, ხიდიდან გაქცეულ გიორგი შაქარაშვილს რამდენიმე პირი მისდევდა. თუმცა, როგორც მისი ჩვენებიდან ირკვევა, აღნიშნული პირების ამოცნობა მას არ შეუძლია.



„ინტერპრესნიუსმა“ ახვლედიანის ჩვენება მოიპოვა, რომელშიც ახვლედიანი დაბადების დღეზე დაწყებულ კონფლიქტსა და შემდეგ უკვე ხიდთან განვითარებულ მოვლენებს დეტალურად იხსენებს. როგორც დაზარალებულის ჩვენებიდან ირკვევა, იუბილარის დაბადების დღეზე ის მეგობრებთან – გიორგი ქათამაძესთან და დიჯეი კოკო ღიბრაძესთან ერთად წავიდა.

„ჩემმა მეგობარმა ანა გაბეჩავამ მე და ჩვენი საერთო მეგობრები – გიორგი ქათამაძე და კონსტანტინე ღიბრაძე დაგვპატიჟა 2020 წლის 18 ივნისს თავის დაბადების დღეზე. ანამ გვითხრა, რომ ის დაბადების დღის სუფრას იხდიდა ქალაქ მცხეთაში მდებარე „ლიდერფუდის“ მაღაზიის უკან მდებარე კაფე-ბარში. ანას ჩვენ დავთანხმდით. 2020 წლის 18 ივნისს მე, გიორგი ქათამაძე და კონსტანტინე ღიბრაძე შევიკრიბეთ ჩემი საცხოვრებელი სახლის ეზოში, საიდანაც ჩვენ სამივენი ტაქსით წავედით ანას დაბადების დღის სუფრაზე – ქალაქ მცხეთაში მდებარე „ლიდერფუდის“ მაღაზიის უკან მდებარე კაფე-ბარში რომ მივედით, უკვე იყო შებინდებული, ზუსტი საათი არ მახსოვს. სუფრაზე რომ მივედით, ჩვენ იქ დაგვხვდნენ ანა გაბეჩავა და მისი მეგობარი გოგო-ბიჭები, რომლებსაც მე არ ვიცნობდი. სუფრაზე ვიქნებოდით დაახლოებით 30 ადამიანი.

სუფრაზე ყოფნისას მე იქ გავიცანი ანა გაბეჩავას მეგობარი გიორგი შაქარაშვილი. ჩვენ ცოტა დავლიეთ ალკოჰოლური სასმელი და თან ვცეკვავდით და ვერთობოდით. სუფრის მსვლელობისას იქ მყოფ ახალგაზრდებს შორის მოხდა ჩხუბი, ოღონდ, რაზე მოხდა და ვის და ვის შორის, მე არ ვიცი, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, იქ მყოფთაგან ვიცნობდი მხოლოდ ჩემს მეგობრებს – გიორგი ქათამაძეს, კონსტანტინე ღიბრაძეს, ანა გაბეჩავას და იქ სუფრაზე გავიცანი გიორგი შაქარაშვილი. ჩხუბი და გაწევ-გამოწევა მე შევნიშნე კაფე-ბარის გარეთ ეზოში, როდესაც შემთხვევით გამოვედი გარეთ, ეზოში. ჩხუბი შიგნით კაფე-ბარში არ ყოფილა. ამის შემდეგ ჩხუბი მალევე შეწყდა და ყველანი ჩაჯდნენ ავტომანქანებში და დაიშალნენ. ჩხუბში ან მოჩხუბართა გაშველებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან იმ ადგილზე ბნელოდა, მე არ დამინახავს სახეზე, თუ ვინ ჩხუბობდა ერთმანეთში და ვინ იღებდა მონაწილეობას გაშველებაში, არც ის დამინახავს, ვინმეს ჰქონდა თუ არა ჩხუბის შედეგად დაზიანება მიღებული. ამის შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში ვამშვიდებდი ანა გაბეჩავას და მის მეგობარ გოგონებს, რომლებიც ასევე იმყოფებოდნენ იქ სუფრაზე, რის შემდეგაც ზოგიერთი გოგო შევიდა შიგნით კაფე-ბარში, ხოლო ზოგიერთი იყო გარეთ ეზოში. ამასობაში, გავიდა რამდენიმე წუთი, ამის შემდეგ ადგილზე დავრჩით მე, გიორგი ქათამაძე და კონსტანტინე ღიბრაძე, სხვა ბიჭები მე იქ არ მინახავს.

მე, გიორგი ქათამაძემ და კონსტანტინე ღიბრაძემ გადავწყვიტეთ, წავსულიყავით სახლში და ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანამ გამოვიდოდით, „ლიდერფუდთან“ არსებულ კიბეებთან შევნიშნეთ სამი ბიჭი, რომლებიც ასევე იმყოფებოდნენ ანა გაბეჩავას დაბადების დღის სუფრაზე. ამ სამი ბიჭიდან ერთ-ერთი იყო გიორგი შაქარაშვილი. მათ არანაირი სახის დაზიანების კვალი არ ემჩნეოდათ. ჩვენ ექვსივე ერთად გადავედით მცხეთა-თბილისის დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო გზის მეორე მხარეს, ანუ თბილისის მიმართულებით, დავყევით გზას ფეხით თბილისისკენ და თან ხელს ვუქნევდით ავტომანქანებს, რომ ვინმეს გაეჩერებინა ჩვენთვის და წავეყვანეთ ქალაქ თბილისში, თუმცა ავტომანქანა არავინ გაგვიჩერა.

რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ ქალაქ თბილისის მიმართულებით მდინარე არაგვის ხიდზე გადავედით თუ არა, უკანა მხრიდან დაგვეწია მოთეთრო-მოვერცხლისფრო ავტომანქანა, რომლის მარკა, სერია და ნომერი არ მახსოვს. ავტომანქანა გაჩერდა დაახლოებით 10-15 მეტრით წინ მიმავალ ჩემს მეგობრებთან, გიორგი ქათამაძესთან და კონსტანტინე ღიბრაძესთან. ავტომანქანიდან გადმოვიდა დაახლოებით 5 ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებმაც ცემა დაუწყეს გიორგი ქათამაძესა და კონსტანტინე ღიბრაძეს, რის შემდეგაც ერთ-ერთი გამოიქცა ჩემკენ, უკან გამოჰყვნენ დანარჩენებიც და, როგორც კი მოვიდნენ ჩემთან, პირველმა, რომელიც გამოიქცა ჩემკენ და მოვიდა ჩემთან, დამარტყა ხელი სახეში, მივიღე დაზიანება ცხვირის მიდამოში და ვიგრძენი ფიზიკური ტკივილი, რის შემდეგაც მე დავინახე, რომ სხვებიც მოდიოდნენ ჩემკენ ჩემ საცემად, რის გამოც მე და ჩემ გვერდით მყოფი კიდევ 3 ბიჭი, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო გიორგი შაქარაშვილი, გავიქეცით უკან, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მცხეთის მიმართულებით.

რამდენიმე მეტრი რომ გავიქეცით, მდევრებიც გაჩერდნენ, გატრიალდნენ უკან, ჩასხდნენ თავიანთ ავტომანქანაში და წავიდნენ. ამის შემდეგ ჩვენ ისევ გავაგრძელეთ ყველამ ერთად გზა ქალაქ თბილისისკენ, ანუ მე და ჩემმა მეგობარმა გიორგი ქათამაძემ და კიდევ იმ სამმა ბიჭმა, რომლებიც ასევე იმყოფებოდნენ ანა გაბეჩავას დაბადების დღეზე და რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო გიორგი შაქარაშვილი, ხოლო კონსტანტინე ღიბრაძე ამ დროს იქ არ დამინახავს. მე უნდა მეკითხა გიორგი ქათამაძისთვის, კონსტანტინე ღიბრაძე სად არის-მეთქი, რა დროსაც იმავე ხიდზე როგორც კი გადავედით, უკანა მხრიდან დაგვეწია ავტომანქანა, რომლის ფერი, სერია და ნომერი არ მახსოვს, რადგან ვიყავი შეშინებული. აშკარად იყო სხვა ავტომანქანა.

ავტომანქანა გაჩერდა ჩვენთან და, როგორც კი გაიღო ავტომანქანის კარი და ავტომანქანიდან იქ მსხდომმა პირებმა დააპირეს გადმოსვლა, ჩვენ ყველა ერთად მოვტრიალდით უკან და გავიქეცით ქალაქ მცხეთის მიმართულებით. ისინი, ვინც ავტომანქანიდან გადმოვიდნენ, მოგვდევდნენ და გვეძახდნენ – გაჩერდით, სად გარბიხართო და გვაგინებდნენ. ჩვენ ყველამ ერთად ხიდზე გადავკვეთეთ გზა, გადავედით საავტომობილო გზის მეორე მხარეს და გავრბოდით. მე ხიდზე როგორც კი გადავედი, იქვე ჩავუხვიე დაბლა და, როგორც კი ჩავუხვიე, ეგრევე ვნახე იქვე არსებული ბუჩქები და ჯაგები, გავიქეცი იქითკენ და დავიმალე აღნიშნულ ბუჩქებში, ხოლო სხვები საით გაიქცნენ, არ ვიცი, რადგან იყო ღამე.

მე სანამ ჩავუხვევდი ბუჩქებისკენ, დავინახე, რომ ჩემ წინ მირბოდა გიორგი შაქარაშვილი. მე რომ ჩავუხვიე ბუჩქებისკენ, ისინი, ვინც მოგვდევდნენ, გაეკიდნენ გიორგი შაქარაშვილს და შემდეგ ვინ საით გაიქცა, არ დამინახავს. მე ჩუმად ვიჯექი და ვიმალებოდი ბუჩქებში, რა დროსაც საავტომობილო გზის მხრიდან დაახლოებით 10 წუთი მესმოდა ძახილი – სად გაიქეცით, გამოდითო და თანაც გვაგინებდნენ. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ ძახილი შეწყდა, თუმცა მე მაინც არ გამოვსულვარ ბუჩქებიდან, სადაც ვიმალებოდი დაახლოებით 35-40 წუთი. ბოლოს, როცა დავრწმუნდი, რომ საფრთხემ ჩაიარა, გამოვედი ბუჩქებიდან ცენტრალურ საავტომობილო გზაზე.

გზაზე რომ გამოვედი, დავურეკე ჩემი მობილური ტელეფონიდან ჩემს მეგობარ გიორგი ქათამაძეს მობილურ ტელეფონზე, რომლის სიმბარათის ნომერი არ მახსოვს და ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი, რა დროსაც გიორგი იქვე საიდანღაც ბუჩქებიდან გამოვიდა საავტომობილო გზაზე, ხოლო ის სამი ბიჭი, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო გიორგი შაქარაშვილი, სად წავიდნენ და სად იყვნენ, არ ვიცი, რადგანაც ისინი იმ დროს უკვე იქ არ ყოფილან. ამის შემდეგ დავურეკე ჩემს მეგობარ ლუკა ბეჟანიშვილს, რომლის ტელეფონის ნომერი არ მახსოვს, ვთხოვე, მოსულიყო ჩვენთან და წავეყვანე სახლში. რამდენიმე წუთში ჩვენთან მოვიდა ჩვენი მეზობელი კახა, რომლის გვარი არ ვიცი, თავისი ავტომანქანით, რომელმაც გვითხრა, ლუკამ გამოგვგზავნა თქვენთანო, რის შემდეგაც ჩვენ ანუ მე და გიორგი ქათამაძე ჩავსხედით კახას ავტომანქანაში და წავედით სახლში.

უბანში რომ მივედით, იქ დაგვხვდა ჩვენი მეგობარი კონსტანტინე ღიბრაძე, რის შემდეგაც დავიშალეთ და წავედით სახლებში.

მეორე დილით ანა გაბეჩავამ „ინსტაგრამზე“ მომწერა, გიორგი შაქარაშვილი არ ჩანს და ხომ არ იცი, სად არისო, რაზეც მე ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი. სწორედ მაშინ გავიგე ანასგან, რომ გიორგი შაქარაშვილი იყო დაკარგული. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე შემიძლია ამოვიცნო ის ბიჭები, რომლებიც გიორგი შაქარაშვილთან ერთად იყვნენ, ხოლო იმ ბიჭებს, რომლებიც ჩვენ გამოგვეკიდნენ და გვცემდნენ, ვერ ამოვიცნობ, რადგან ისინი კარგად არ დამინახავს. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე არ ვიცი, ვის და ვის შორის და რა მიზეზით მოხდა ჩხუბი კაფე-ბარში ანა გაბეჩავას დაბადების დღეზე. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მომხდარი ჩხუბის დროს მე სახეში, ცხვირის მიდამოში მივიღე დაზიანება და, თანახმა ვარ, ჩამიტარდეს ექსპერტიზა. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე შემიძლია ამოვიცნო ის ორი ბიჭი, რომლებიც გიორგი შაქარაშვილთან ერთად იმყოფებოდნენ და რომლებთან ერთადაც ჩვენ წავედით ქალაქ თბილისისკენ. მე მათი ამოცნობა შემიძლია სახეზე და ფიზიკურად.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ როდესაც ჩემს უბანში მივედი, იქ დამხვდა კონსტანტინე ღიბრაძე, რომელსაც ვკითხე, შენ რით წამოხვედი-მეთქი, რაზეც მან მიპასუხა, გზაზე ხელი გავუქნიე შემთხვევით გამვლელ ავტომანქანას და იმან გამომიყოლა ქალაქ თბილისშიო. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ როდესაც გავიგე ანა გაბეჩავასგან გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ, მე არ მიკითხავს არც ჩემს მეგობრებში და არც არავისთან გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ, რადგანაც ვიფიქრე, ალბათ, გამოჩნდება-მეთქი.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე შემიძლია ამოვიცნო გიორგი შაქარაშვილი კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ის ბიჭი, რომელმაც მე მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც დაზიანება მივიღე ცხვირის მიდამოში, იყო ოდნავ გრძელი თმებით, საშუალო სიმაღლის და საშუალო აღნაგობის, რომლის ამოცნობაც მე შემიძლია. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ზემოთ აღნიშნული ჩხუბის დროს მე მეცვა თეთრი ფერის გრძელსახელოიანი „საროჩკა“ და ლურჯი ფერის ნაჭრის შორტები. როდესაც მე მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მაგ დროს ასევე შემომეხა „საროჩკა“, რომელიც მეცვა და, რადგანაც იგი იყო გახეული, ქალაქ თბილისში ჩამოსვლისას ჩემს უბანში მდგარ ურნაში გადავაგდე, ხოლო შორტები გამოვიცვალე ჩემს სახლში და ამჟამად ვინახავ ჩემს საცხოვრებელ სახლში. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში“, – აცხადებს ახვლედიანი ჩვენებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ბერძენიშვილი: „ნაციონალებთან ბლოკს არ გამოვრიცხავთ“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მიიღო. მათ შორის ერთ-ერთი საკითხია სავალდებულო გენდერული კვოტირება, რომლის მიხედვითაც პარტიები ვალდებულნი არიან, პარტიულ სიაში ყოველი მეოთხე საპირისპირო სქესის წარმომადგენელი ჩასვან. ამ საკითხში ოპოზიციურ პარტიებში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი, რომელიც ამ ცვლილებას ეთანხმება, რესპუბლიკური პარტიაა.**
**„ახალი თაობა“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით ბერძენიშვილს ესაუბრა.**

***– გენდერულ კვოტირებას ოპოზიციაში მოჰყვა განსხვავებული პოზიციები. ეს სავალდებულო უნდა იყოს თუ წახალისების გზით უნდა ხდებოდეს?***

– ჩვენ, რესპუბლიკელებმა, 5 წლის წინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პარამეტრების მქონე შიდაპარტიული გადაწყვეტილება მივიღეთ – ყოველ სამ წევრში ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის. ჩვენ მეტი ვალდებულება გვაქვს ამომრჩევლის წინაშე, ვიდრე ახლა დაგვავალდებულა საქართველოს კანონმდებლობამ. მთავარი ის არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რატომ გვავალდებულებთო, ყოველგვარი დავალდებულების გარეშეც ამის წინააღმდეგი არიან და არ აკეთებენ.

ევროპარლამენტის „სახალხო პარტიის“ მთავარი პარტიები, მაგალითად, გერმანიის „ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტია, რომელიც არის მერკელის პარტია, 1994 წლიდან იყენებს შიდაპარტიულ კვოტებს. იქ 30%-იანი კვოტაა განსხვავებული სქესისთვის და მას იყენებს შიდაპარტიულად. საქართველოში „სახალხო პარტიის“ ორი წევრი პარტიაა – ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“. ნაციონალურმა მოძრაობამ მხარი დაუჭირა კვოტებს, რასაც მივესალმები, „ევროპული საქართველო“ მხარს არ უჭერს და ეს მისი უფლებაა, მაგრამ ის კვოტირების მომხრეების მიმართ აგრესიულად საუბრობს. გამართონ მათ კამათი „სახალხო პარტიაში“ და მერკელსა და სარკოზის ეკამათონ. საფრანგეთში არ იყო რეგიონები, იყო ცენტრი და იყო 100 დეპარტამენტი. შექმნეს რეგიონები, რომელიც პროპორციული სისტემით ირჩევა 50/50-ზე კვოტირებით. ასე რომ, ეს კანონით იქნება განსაზღვრული თუ შიდაპარტიული კვოტირებით, არსებითი არ არის წარმატებულ ქვეყნებში. იქ ამომრჩევლის მოთხოვნილება ასეთია და ამას ითვალისწინებენ მემარცხენეც, მემარჯვენეც, ლიბერალურიც. ქალები მედიცინაში, მეცნიერებაში, ბიზნესსა თუ ბევრ სხვა სფეროში პროპორციულად არიან წარმოდგენილი, ზოგან მეტიც კი. პოლიტიკაშიც უნდა იყოს მეტი წარმომადგენლობა და არა ისე, დღეს რომ 85% კაცია, მაშინ როცა კვალიფიკაცია დაახლოებით თანაბარია.

***– ვნახეთ ოპოზიციის ლიდერების განცხადებები ერთმანეთის მიმართ. განსაკუთრებით ალეკო ელისაშვილისა და „ევროპული საქართველოს“ ლიდერების ურთიერთეპითეტები იყო უსიამოვნო. ეს ივანიშვილის ინტერესებს ხომ არ უწყობს ხელს?***

– კარგია, რომ ამ შეხლა-შემოხლაში არ მონაწილეობს არც ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია და გაერთიანება და არც ბევრი სხვა სუბიექტი. რაც შეეხება ელისაშვილის ტექსტებს, მე ამ ტექსტებით არ ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ არც ალეკო ელისაშვილის ენის მიმართ ასეთი განსაკუთრებული გაღიზიანება და ყურადღება მომწონს „ევროპული საქართველოს“ მხრიდან. ეს მათი საქმეა, მაგრამ ჩემთვის მაინცდამაინც საინტერესო არ არის. ვერანაირად ვერ აღიქმება ეს რაიმე სერიოზული ზიანის მომტანად ოპოზიციური პარტიებისთვის. პარტიები აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას იმაზე, რაშიც შეთანხმებული არიან. გამოვაქვეყნებთ ერთობლივ განცხადებას და



შევაფასებთ 8 მარტის შეთანხმების შესრულება-შეუსრულებლობას.

***– დარჩენილ ორ მაჟორიტარზე რა ხდება?***

– მე შევთავაზე, რომ 8-ზე შევთანხმდეთ თბილისში, დანარჩენში იყოს კონკურენცია. 6-ში შეთანხმება მოხდა, იმ ორზე თუ ვერ შეთანხმდებიან, 6-ში იქნება შეთანხმება და 22-ის ნაცვლად 24-ში იქნება კონკურენცია. ეს ნორმალურია. ვინც უკეთესი კანდიდატი იქნება, ის მოუგებს №5-ის კანდიდატს და მას მთელი ოპოზიციური სპექტრი მეორე ტურში მხარს დაუჭერს. ეს უამრავჯერ ყოფილა, მეც მომიგია ან ვერ მომიგია და მეორე ადგილზე გავსულვარ სუსტი – მე-5, მე-7 ადგილზე მყოფი პარტიით.

***– თქვენ დააყენებთ სადმე კანდიდატებს?***

– არ ვიცი, ამაზე ორიენტირებული არ ვართ. მაჟორიტარებისთვის არც ორგანიზაციულად და არც ფინანსურად ამჟამად მზად არ ვართ, მით უმეტეს, რომ 80% პროპორციული სისტემით ირჩევა.

***– პროპორციულ ნაწილში დამოუკიდებლად გამოხვალთ?***

– ეგ ვნახოთ. ისეთი ვითარებაა, როცა იძულებული არც ერთი პარტიაა, რომ დამოუკიდებლად გამოვიდეს ან ვერ გამოვიდეს დამოუკიდებლად. 1%-იანი ბარიერია და რამდენიმე მანდატს რესპუბლიკური პარტია დამოუკიდებლადაც მიიღებდა.

***– საუბრობთ ვინმესთან, რომ შესაძლოა, ბლოკით გამოხვიდეთ?***

– შესაძლოა. 1992-შიც, 2003-შიც და 2012-შიც ხელისუფლებების ცვლილებები და მთავარი ალტერნატიული ბლოკები ქვეყანაში რესპუბლიკელების მონაწილეობით იყო. ასე რომ, არც ახლაა გამორიცხული.

***– ვის განიხილავთ პარტნიორად?***

– ჯერ არ ვიცით, ვნახოთ.

***– ნაციონალური მოძრაობის ბლოკთან თანამშრომლობაზე რას ფიქრობთ?***

– რესპუბლიკელები არაფერს გამოვრიცხავთ. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს ნახელისუფლარ ორივე პარტიასთან, უფრო ძველ ოპოზიციურ პარტიებთანაც. ვნახოთ, პოლიტიკაა, ინტერესთა და ღირებულებების თანხვედრაა. მაგალითად, კვოტირების საკითხში ნაციონალების ხედვები რესპუბლიკელებისას მთლიანად დაემთხვა და ეს კარგია. ამ ერთ ნაწილში სიახლოვე დავადასტურეთ.

***– „ლელოსთან“ მიმართებით რა პოზიცია გაქვთ?***

– „ლელო“ ცალკე გადის და პარლამენტში, ბუნებრივია, ვითანამშრომლებთ.

***– რაღაც საკითხებზე საერთო ხედვები გაქვთ?***

– „ლელომ“ უნდა გამოაქვეყნოს თავისი ხედვები. ჩვენი ხედვები ცნობილია. „ლელომ“ კვოტირების საკითხში კარგი პოზიცია დაიკავა. თითოეული ეკლესიის ირგვლივ 20 ჰექტარი მიწის დაკანონების თაობაზე ცუდი პოზიცია დაიკავა. ისინი დაღვინებისა და ჩამოყალიბების პროცესში არიან. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ყველაფერი წესრიგშია და ვნახოთ.

„ლელოს“ პოლიტიკაში გამოჩენას პოზიტიურად ვაფასებ.

# „ჩვენ მოვიფიქრეთ სქემა, როგორ შეიძლება 20 ათასი ხმის აღება“

## მამუკა ტუსკაძე: „კოორდინატორების მახინჯი სისტემაა – მაყვალა თუ ჟუჟუნა კოორდინატორებს რომ ეძახიან, არ შეიძლება, იყოს. ეს სისტემა არ დანგრეულა“



**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობის“ დამფუძნებელი და უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო მამუკა, რა იმედები გაგიჩინათ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულმა საკონსტიტუციო და საარჩევნო კოდექსში ცვლილებებმა?***

– დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში მართლაც უნიკალური და უპრეცედენტო მოვლენა იყო როგორც კონსტიტუციის, ისე საარჩევნო კოდექსის ცვლილება. მთლიანად პროპორციულ სისტემაზე საქართველო გადადის 2024 წელს. 2020 წლისთვის ვადაზე ადრე შემოიღეს საარჩევნო სისტემა, რომელიც პროპორციულთან მაქსიმალურად მიახლოებულია.

კარგი იქნებოდა, ქვეყანა მთლიანად პროპორციულ სისტემაზე 2020 წლიდან გადასულიყო, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონსტიტუციაში ჩანაწერი, რომლის თანახმად, 2024 წლისა და შემდგომი არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს და მაშინ საქართველოს პარლამენტი სრულად პროპორციული სისტემით იქნება დაკომპლექტებული.

2020 წლის არჩევნები არის გარანტია იმისა, რომ თუ გარკვეული სოციუმის ნაწილს, რაღაც ფოკუსჯგუფებს პოლიტიკურ ასპარეზზე პოზიციონირების სურვილი აქვთ, გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობები.

***– საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან რომელს გამოყოფდით?***

– საარჩევნო კოდექსშიც შევიდა კარგი ცვლილებები, მათ შორის, გენდერულ კვოტირებაზე.

***– გენდერულ კვოტირებას ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები აკრიტიკებენ, მაგალითად, ნათელაშვილი.***

– კი ბატონო, ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად. თუ, ვთქვათ, „სოციალურ სამართლიანობაში“ ქალების ნაკლებობაა, მათ არ აინტერესებთ სოციალური სამართლიანობა, ძალით ვერ მოიყვან. თუმცა ბუნებაში არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური იდეოლოგია თუ შეხედულება, ქალების 1/3 მაინც რომ არ იყოს დაინტერესებული და არ მონაწილეობდეს, მათ შორის, რადიკალური მიმართულებებითაც.

ჩვენს პოლიტიკურ მოძრაობაში ყოველი მეორე ქალია. ჩვენი სიის პირველ ათეულში 7 ქალი იქნება. ამ მხრივ არც ჩვენ და არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ გაუჭირდება. აქ გასაჭირი არ არის. პოლიტიკურ პროცესებში ქალები უკვე აქტიურად არიან ჩართული.

არა მხოლოდ ახლანდელი დამოუკიდებლობის პერიოდში, არამედ პირველი რესპუბლიკის დროსაც ქართველი ქალები მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პროცესებში – პარლამენტში 7 ქალი იყო. შუა საუკუნეებში საქართველოს ქალი მეფე ჰყავდა თამარის სახით. გენეტიკურად, ზოგადად, ქართველი ქალების ფენომენი ასეთია.

***– 1%-იანი ბარიერი რა შანსს გაძლევთ?***

– ორგანულ კანონში ცვლილებებიც მნიშვნელოვანია. 15%-იანი ბარიერის შემთხვევაში პარტია იღებს კვალიფიკაციას, დაფინანსებას. მას ეძლევა განვითარების საშუალება.

***– რაიმე შენიშვნა გაქვთ?***

– რა თქმა უნდა.

***– რა შენიშვნები გაქვთ?***

– ძალიან კარგი რაღაც გაკეთდა, მაგრამ შენიშვნაც უამრავია. ჩემი შენიშვნა, პირველ რიგში, წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციას ეხება. მიუხედავად უამრავი ცვლილებისა, რეალურად მაინც ვერ გათანაბრდა საარჩევნო ველი სუსტი და ძლიერი ოპოზიციური ძალებისთვის.

***– ანუ ოპოზიციურ პარტიებს შორისაც არის უთანაბრობა?***

– დიახ, თვითონ შიგნით ოპოზიციურ პარტიებს შორის და ასევე ხელისუფლებას შორის არის უთანაბრობა. წინასაარჩევნო აგიტაცია, მათ შორის, პრესითა და მედიით, პრაქტიკულად, ისევ მონოპოლიზებულია.

წინასწარ, აპრიორი კარგად იციან, ვინ არის კარგად დაფინანსებული პარტია და მათთვის უფრო მეტი შეღავათია უფასო სარეკლამო დროის თვალსაზრისით, მაგალითად, ტელეეთერებში. გარდა ამისა, წინასაარჩევნო აგიტაცია გარკვეულ სახელმწიფო მოხელეებს აეკრძალათ, მაგრამ, რად გინდათ, პედაგოგებსა და სხვა სახელმწიფო მოხელეებს მაინც დარჩათ აგიტაციის უფლება.

***– ჩამონათვალი უნდა ყოფილიყო, კონკრეტულად ვის ეკრძალებოდა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა?***

– დიახ. ვინც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, სამუშაო დღის განმავლობაში არ შეიძლება, ისინი მუშაობდნენ კოორდინატორებად, აგიტატორებად და პარტიულ აქტივად. ესენი ძირითადად კიდევ მაღალი თანამდებობის პირები არიან. მათ განმარტება გააკეთეს. თანამდებობის პირებად ისინი მხოლოდ პარლამენტარებსა და საკრებულოს წევრებს თვლიან, რაიონებში კი – მხოლოდ გამგებელსა და მის მოადგილეებს.

პარლამენტარების, საკრებულოს წევრების, გამგებლებისა და მათი მოადგილეების ქვემოთ უამრავი სახელმწიფო მოხელე თუ აპარატის თანამშრომელია. ფიზიკურად შეიძლება სულაც არ მივიდეს ის საკრებულოს წევრი ღონისძიებაზე და არ გაიადვილოს ამომრჩეველთან ურთიერთობა, მაგრამ უფრო მეტად ხელეწიფება რაღაც პრობლემის მოგვარება და, აქედან გამომდინარე, თავიდანვე უპირატესობას ფლობს, რაც არასწორია.

***– კოორდინატორები დარჩნენ, მგონი.***

– კოორდინატორების მახინჯი სისტემაა – მაყვალა თუ ჟუჟუნა კოორდინატორებს რომ ეძახიან, არ შეიძლება, იყოს. ეს სისტემა არ დანგრეულა.

***– კოორდინატორების ინსტიტუტი მთლიანად უნდა აკრძალულიყო?***

– კოორდინატორების საკითხი შიდაპარტიული საქმეა და პარტიის გარეთ არ უნდა გამოდიოდეს, მით უმეტეს, არჩევნების დღეს. კარდაკარის პროგრამა ყველა პარტიისთვის ბრწყინვალეა. ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ კარდაკარის შედეგად მიღებული ინფორმაცია შემდგომში ვერ აისახება შედეგში.

ნებისმიერ ფინანსურად უფრო ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას უბანზე დამსჯელი რაზმებივით უფრო მეტი კოორდინატორი ჰყავს. შესაბამისად, უბანზე ხდება ბაქქანალიები და კიდევ მოხდება. ეს არის ყველაზე ცუდი.

***– კოორდინატორებს ჩემთვის არასოდეს უთქვამთ, ვის მივცე ხმა და ვის – არა. ამომრჩეველი დახარისხებული ჰყავთ, იციან, ვის უთხრან და ვის – არა?***

– არჩევნების დღეს კოორდინატორი ამომრჩეველს არ ეუბნება, ვის უნდა მისცეს ხმა. კვლევა ტარდება, ბაზები აქვს ძირითადად სამ ძალას – „ოცნებას“, ნაცმოძრაობასა და ევრონაცებს. მათ პერსონალურ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი და, პრაქტიკულად, ყველაფერი იციან, იციან, ვის როგორ უნდა ელაპარაკონ.

ამომრჩევლის 90%-ზე მეტი ხელისგულზეა გაშიფრული. ვინ არის აქედან გაშიფრული ამომრჩეველი, ვინ არის კითხვის ნიშნის ქვეშ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა და ამაზე მიმდინარეობს მუშაობა კოორდინატორებით, სმს-ებით, დარეკვით, სოციალური მედიით თუ პრესითა და ტელევიზიით. ამიტომ არჩევნების დღეს უკვე ყველა კოორდინატორმა იცის, ვინ მოდის და ვის მისცემს ხმას.

***– აბა, ბაქქანალია რატომ არის?***

– ბაქქანალიაა იმისათვის, რომ გააკონტროლოს, რაც ტელეფონითაც შეუძლია. გინდ 25 მეტრის რადიუსში იყოს აკრძალვა, გინდ უფრო შორს.

***– განხორციელებულ ცვლილებებში ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო თქვენთვის?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბარიერი, რადგან 1%-იანი ბარიერი ანუ დაახლოებით 20 ათასი ხმა ჩვენნაირი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც სურთ, ახლა დაიწყონ პოლიტიკური საქმიანობა, თავიანთი სიტყვა თქვან ქართულ პოლიტიკაში, წამალივითაა. ძალიან რთულია ხმების მოპოვება, როდესაც პარტია ფინანსების ნაკლებობას განიცდის.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დაბალი ბარიერი და 1%-იანი ბარიერის პირობებში ბლოკების უფლება. მნიშვნელოვანია ის, რომ 1%-იანი ბარიერის შემთხვევაში დაფინანსება და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი გექნება.

***– მომავალი წარმატების იმედი გაქვთ?***

– ჩვენ მოვიფიქრეთ სქემა, როგორ შეიძლება 20 ათასი ხმის აღება.

***– როგორ?***

– 20 ათასი ხმა არის ერთი მანდატი, რომელიც 48 თვის განმავლობაში მოქმედებს. ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს, ერთი მანდატის ფარგლებში პარლამენტის წევრობა შესთავაზოს 8 ყველაზე მაღალი შედეგის მქონე პირს. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ვთავაზობ, ჩვენს პროექტში მონაწილეობა მიიღოს. თავის მიკროოლქში ვისაც შეუძლია 500 ხმის მოპოვება, შეუძლია, გახდეს საქართველოს პარლამენტის წევრი.

***– როგორ, ამ ერთ მანდატში ხომ ერთი სუბიექტი უნდა უნდა გახდეს დეპუტატი?***

– კანონი არ გვიკრძალავს, რომ 4 წლის განმავლობაში 6-6 თვე 8 ადამიანს გავუყოთ მანდატი და 8 ადამიანი როტაციის წესით გახდება დეპუტატი. ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა ამ შანსს საქართველოს ყველა მოქალაქეს აძლევს.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# თამარ ჩხეიძე: „არ მჯერა, „ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოსთან“ იყოს გარიგებული“

## „თანასწორი საარჩევნო გარემოს არსებობა ამ ეტაპზე გამორიცხულია“

მარიამ მჭედლიშვილი

**საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც პარტიებისათვის 1%-იანი საარჩევნო ზღურბლითა და პროპორციულთან მიახლოებული მოდელით ტარდება, 4 თვეზე ნაკლები დარჩა. კომენტატორების ნაწილი ირწმუნება, რომ არჩევნები უპრეცედენტოდ სამართლიანი იქნება, მეორე ნაწილი ამბობს, რომ ამ მოდელში არ არის გათვალისწინებული დემოკრატიული არჩევნებისათვის აუცილებელი სხვა რეკომენდაციები, მაგალითად, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება. ჩამოყალიბდება თუ არა თანასწორი საარჩევნო გარემო? რატომ ვრცელდება ინფორმაციები ზოგიერთი პარტიის ერთმანეთთან გარიგებაზე? სად დაიხია უკან ოპოზიციამ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**



***— საარჩევნოდ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შევიდა. უზრუნველყოფს თუ არა ეს ცვლილებები თანასწორი საარჩევნო გარემოს შექმნას?***

— კანონმდებლობაში მართლაც შევიდა ცვლილებები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქმნება თანასწორი საარჩევნო გარემო და არჩევნები აბსოლუტურად თავისუფალი იქნება. ამის მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს.

***— რატომ?***

— წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე. წინა ხელისუფლების დროსაც არ ყოფილა ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. ამ ხელისუფლებამ კი სხვებზე აქტიურად ჩართო თავის სასარგებლოდ ისეთი აკრძალული მეთოდები, როგორებიცაა დაშინება, მოსყიდვა. ბუნებრივია, ხდება ფალსიფიცირებაც. ადამიანებს ფიზიკურად აშინებენ და ხმებს ისე იღებენ. პროპორციული კომპონენტის გაზრდა და ბარიერის დაწევა არ ნიშნავს იმას, რომ აკრძალული ხერხები გაქრება. აკრძალული მეთოდების გამოყენება არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას ამის თავი აღარ ექნება. თუ თავი ექნა, ნაცად მაქინაციებზე უარს არ იტყვის.

***— „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი სოზარ სუბარი აცხადებს, რომ მმართველ პარტიას არჩევნების მოგების მაღალი შანსი აქვს, ვინაიდან მის მიმართ ხალხის ნდობა მაღალია. ეს, მისი თქმით, ყველა გამოკითხვით დასტურდება.***

— წინათაც ამგვარ განცხადებებს აკეთებდნენ. ეტყობა, გამარჯვების იმედი „ოცნებას“ არ დაუკარგავს. ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვა და მისი მონაცემები ჭეშმარიტებას არ ნიშნავს. ეს ციფრები სანდო არ არის. სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება, სიმართლე დავამტკიცო. დარწმუნებული ვარ, მიუკერძოებელი გამოკითხვა სხვა სურათს დადებდა.

***— საინტერესოა, რას გულისხმობენ გამარჯვებაში? ერთ რომელიმე პარტიას მომავალ პარლამენტში უმრავლესობის შექმნა ძალიან უნდა გაუჭირდეს?***

— ერთი პარტიისათვის ეს ძნელი იქნება, მაგრამ „ქართული ოცნება“ იმედს არ კარგავს. გათვლა ექნებათ იმაზეც, რომ არჩევნების შემდეგ სხვა სუბიექტებს მოელაპარაკებიან და მათთან ერთად ჩამოაყალიბებენ უმრავლესობას, შემდეგ კი — მთავრობას.

***— ამ დღეებში საზოგადოება ინტენსიურად მსჯელობს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ამ საკითხებში „ევროპულ საქართველოს“ გაურიგდება.***

— ამ მჯერა, „ქართული ოცნება“ გარიგებული იყოს „ევროპულ საქართველოსთან“ ან შემდეგ მოხდეს მათ შორის ასეთი შეთანხმება. ასეთ ინფორმაციებს კი დაინტერესებული პირები მიზანმიმართულად ავრცელებენ. შესაძლოა, მათ შორის იყვნენ „ევროპული საქართველოს“ კონკურენტები ან თვითონ „ქართული ოცნება“.

***— რატომ არ გჯერათ ასეთი გარიგების?***

— „ევროპული საქართველოს“ ქმედებებიდან გამომდინარე. სწორედ ამ პარტიის ლიდერები იყვნენ პირველები, რომლებმაც პარტიებს მოუწოდეს განაცხადონ, რომ არ აპირებენ მომავალში თანამშრომლობას „ქართულ ოცნებასთან“ საპარლამენტო უმრავლესობისა და კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით. „ევროპულ საქართველოს“, ერთი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის პრინციპული ოპოზიციური შეხედულებები აქვს. ეს გამონაკლისი კი კორონავირუსს ეხება და ამ საკითხში არასწორი პოზიციის გამომე ფაქტობრივად მთელ ოპოზიციას ვადანაშაულებ.

***— მხედველობაში გაქვთ ის, რომ ოპოზიცია უტყვად და მორჩილად დაეთანხმა საგანგებო მდგომარეობის შემოღებას?***

— დიახ. არ ვამბობ, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ სანიტარიულ-ჰიგიენური ზომები არ უნდა მიგვეღო, მაგრამ, როგორ შეიძლებოდა ეკონომიკის გაჩერება, ხალხის სახლებში გამოკეტვა და მისთვის ლუკმის გამოცლა?! ამაში ბრალი მიუძღვის ოპოზიციასაც, მათ შორის, „ევროპულ საქართველოს“. ხელისუფლებასთან გარიგებას ამ პოლიტიკოსებს ვერ დავაბრალებ. „ევროპული საქართველო“ რაღაც საკითხებში დაპირისპირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან. ამას უარყოფითად ვაფასებ.

***— დღის წესრიგიდან არ ქრება ახალგაზრდა ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის საეჭვო გარემოებაში დაღუპვა. ხელისუფლებას ეს საქმე აზიანებს?***

— ხელისუფლებისათვის ეს შეიძლება იყოს უარყოფითი ფაქტორი. გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. საქართველოს სამართლებრივი სისტემა მანკიერია. თუ წინა გამოცდილებასა და შაქარაშვილის საქმის დეტალებს გავიხსენებთ, კითხვები ჩნდება. შეინიშნება საქმის გაყალბების ნიშნები.

***— რუსეთის მოსალოდნელ ჩარევაზე საქართველოს არჩევნებში ისევ ბევრს საუბრობენ. ვრცელდება რუსეთის საგარეო უწყების კიდევ ერთი განცხადება საქართველოში მოქმედ ლუგარის ლაბორატორიაზე. კრემლის პრეტენზიები უცვლელია. ესეც ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთი ჩაერევა არჩევნებში?***

— ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. რუსეთი არათუ ერევა არჩევნებში (არა მარტო საქართველოში), არამედ, მას სურს თავისი ბატონობის გაფართოება. რუსეთი ისედაც ბატონობს საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებაზე. მას გავლენის გაფართოება უნდა და ამისათვის ყველა ღონეს ხმარობს.

# ლევან ალაფიშვილი: „ჩვენი პოლიტიკური სისტემა ავად არის“

## „გარდამავალი პერიოდი იქნება ეს სისტემა. სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წელს ამოქმედდება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნებსა და „საარჩევნო კოდექსში“ შესატან ცვლილებებზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს როგორ შეაფასებთ, რას მოუტანს ეს ქვეყანას?***

— უნივერსალური საარჩევნო სისტემა არ არსებობს, თუმცა, ჩვენი პოლიტიკური კულტურის კვალობაზე, საარჩევნო გამოცდილებაც იცვლება. იმედია, უფრო ვუახლოვდებით დასავლურ დემოკრატიას, დასავლურ სტანდარტს. ეს არის დამსახურება არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ იმ თაობის, რომელიც კი არ მოდის, უკვე აქ არის და თავის სათქმელსაც ამბობს, თავისი განაცხადი საქმით მოჰყავს სისრულეში.

მე ვსაუბრობ იმ თაობაზე, რომელმაც წყალდიდობის დროს თავისი სიტყვა თქვა, რომელმაც თბილისი პირდაპირი მნიშვნელობით დაალაგა. სწორედ ამ თაობის მონაპოვარია ეს ახალი პოლიტიკური რეალობა, თაობის, რომელმაც გულწრფელად გააპროტესტა ოკუპაცია, ოკუპანტი ქვეყნის მაღალჩინოსნის ჩაბრძანება ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ სავარძელში. ეს იყო სრულიად ბუნებრივი ემოცია და ამას ვერავინ უარყოფს. შესაბამისად, მათ დაინახეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება სისტემურად უნდა შეიცვალოს. ეს კი პროპორციული არჩევნების გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ჩვენი პოლიტიკური ელიტა მანკიერ წრეზე ტრიალებს. არც ერთ ხელისუფლებას თავისი ნებით არ ეთმობა ძალაუფლება.

***— მმართველობის სისტემურ ცვლილებას რამდენად უზრუნველყოფს ეს საკონსტიტუციო ცვლილებები?***

— გარდამავალი პერიოდი იქნება ეს სისტემა. სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2024 წელს ამოქმედდება. აქამდე მისვლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკვე არსებული შერეული სისტემა ნამდვილად ტოვებდა იმის რისკებს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა შეძლებდა მყარი შედეგების კიდევ ერთხელ მოპოვებას. ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა კი შემოგვთავაზა შესაძლებლობა, რომ ახალ პოლიტიკურ მოთამაშეებს, ამ ახალგაზრდებს, რომლების უდავო მონაპოვარიც არის ეს ცვლილებები, მისცა ასპარეზი, პარლამენტში იყვნენ წარმოდგენილი და რეალური გავლენა მოახდინონ უკვე თავად ქვეყნის ცხოვრებაზე.

საწყის ეტაპზე საკმარისი ცვლილებებია, რომ რეალურად შეიცვალოს არა მხოლოდ სახელმწიფო მმართველობა, არამედ პოლიტიკური კულტურაც და ცხოვრებაც.

***— ე.წ. 40% ჩამკეტი რამდენად უზრუნველყოფს კოალიციურ მთავრობას?***

— როგორც იურისტისთვის, პროფესიულ კითხვებს, ცხადია, ეს ტოვებს, თუმცა პოლიტიკური მოცემულობისთვის ეს სულაც არ არის საინტერესო. თქვენი კითხვის პასუხად, დიახ, ამ შანსს 40% ჩამკეტი იძლევა, უფრო კონკრეტულად კი ეს გამორიცხავს, რომ ნებისმიერმა ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ მოიპოვოს იმ სახის უპირატესობა, რომ მარტომ დააკომპლექტოს მთავრობა. მოგეხსენებათ, მთავრობის შესაქმნელად საჭიროა პარლამენტში 76 მანდატი ან მეტი. შესაბამისად, ამდენი მანდატი, ვფიქრობ, ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას ვერ ექნება. ამ შემთხვევაში მივიღებთ მოცემულობას, როდესაც პარტიები იძულებულნი გახდებიან, საკუთარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგნენ და სახელმწიფოებრივად იაზროვნონ. ეს კი პოლიტიკური დიალოგისა და შეთანხმების წინაპირობა იქნება.



***— წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური რყევები, არასტაბილურობა და ვადამდელი არჩევნები შემოდის დღის წესრიგში?***

— დიახ, ამ შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები, რასაკვირველია, აუცილებელი ხდება.

***— თუ დემოკრატიული სახელმწიფო გვინდა, მაშინ ეს ეტაპიც უნდა გავიაროთ?***

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ის ახალგაზრდები, რომლებიც თავის დროზე გამოვიდნენ და თავიანთი სიტყვა თქვეს, 20 წლის იყვნენ, დღეს 25 წლის არიან. ასე რომ, ეტაპი ყოველთვის გასავლელია. ჩვენი პოლიტიკური სისტემა ძალიან ავად არის, ჩაკეტილია, გაუმჭვირვალეა, პოლიტიკური კორუფციისა და შავი ფულის წყაროა, ამიტომ მას შველა სჭირდება. ეს უნდა შეიცვალოს, რადგან დემოკრატია ასეთ სისტემას ვერ ცნობს. ასე რეალურ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. შესაბამისად, ცვლილებების პროცესი იქნება მტკივნეული, იქნება შეცდომებიც, მაგრამ ამ გზის გავლა და ბოლომდე მისვლა აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, ეს გზა მიგვიყვანს არსებითად შეცვლილ მმართველობით სისტემასთან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი პარტიული სისტემა იქნება.

***— გენდერულ კვოტირებაზე რას იტყვით? საარჩევნო სიის ყოველი მე-4 ქალი უნდა იყოს.***

— ქალთა ორგანიზაციებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მათთვის ეს სისტემა მიუღებელია. მე ვერ ვიტყვი, რომ კვოტირება ან კარგია, ან ცუდი. წინა ხელისუფლებების დროსაც ყოფილა კვოტირების მცდელობები. მცდელობას, რომ თანასწორობა ყველგან, პირველ რიგში, პოლიტიკაში იყოს უზრუნველყოფილი, მივესალმები. რაც შეეხება დაკანონებას, მე ვისურვებდი, რომ ეს ყოველივე ბუნებრივად მოხდეს.

# „მერაბიშვილი კენჭს იყრის თუ არა, ელისაშვილმა უნდა გადამიწყვიტოს?!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბაზრობა არ დატოვა კაცმა, რომ არ გადაეწვა, იმიტომ, რომ ბოლომდე გააუბედუროს ხალხი და გაამწაროს. ტყე არ დატოვა, თურმე მარტო თვითონ უნდა ისუნთქოს თავის დენდროლოგიურში. არაფერი არ დატოვა წმინდა ამ ადამიანმა. ეკლესიაში შევარდა, წაბილწა იქაურობა. მეცინება, რომ ამბობენ, ნაციონალები ებრძოდნენ ეკლესიასო. მიშას დროს მღვდელი რომ დაეჭირა ვინმეს, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა?! ახლა კი ათზე მეტი მღვდელია დაჭერილი. ეკლესიას ვინ შეურყვნა ავტორიტეტი?! ხომ ყველა ხედავს, რა სიტუაციაა და რა დღეშია საპატრიარქო! ესენი ამბობენ, რეიტინგი გვაქვსო და ჩვენ გვიწოდებენ დესტრუქციულებს. ეს ცვლილებებიც ჩვენი მოთხოვნა იყო, ახლა რომ ზეიმი აქვთ.

***— მხარი რომ არ დაუჭირეს?***

— არც უნდა დაეჭირათ მხარი, იმიტომ რომ 8 მარტის შეთანხმება ბოლომდე არ არის შესრულებული. რატომ არ უშვებენ რურუას? არ გიჩნდებათ ეს შეკითხვა?! უგულავა და ოქრუაშვილი თუ გამოუშვეს?!

***— რატომ არ უშვებენ?***

— იმიტომ არ უშვებენ, გიორგი რურუა გარეთ რომ იყოს, მთაწმინდაზე და არა მარტო მთაწმინდაზე, აი, მაგათი ჩაცუცქული ტიპები და ვითომ კაი ბიჭები ვერ იბლატავებენ! ხალხსაც ვერ დააშინებენ და ეს იცის ყველამ.

***— ანუ საარჩევნოდ არ აწყობთ მისი გამოშვება და ამის მოლოდინი არ უნდა გქონდეთ?***

— რა თქმა უნდა, ასეა, თანაც ისეთი სამარცხვინოები არიან, რომ დასავლელ პარტნიორებს ფურცელზე უწერენ და უგზავნიან, ნახეთ, რა დანაშაულებში ვედავებითო. 25 წელზე მეტია გასული, ისეთ რაღაცებს უხსენებენ და ამერიკას ეუბნებიან, კრიმინალი იყო და თქვენ ვინ გეკითხებათ, ჩვენს შიდა საქმეებში რომ ერევითო. ამ საქმეებზე არ დაკითხულა რურუა, არ დაუძახიათ, არავის უკითხავს, ეს მართალია თუ გიგონებენო?! სწორად მოიქცა ოპოზიცია, რომ არ დაუჭირა მხარი.

***— ოპოზიციის გარეშეც მიიღეს ეს ცვლილებები.***

— რა თქმა უნდა, მიიღებდნენ. სხვა გზა ჰქონდათ?! იმავე ხალხმა მიიღო, ვინც ჩააგდო. ივანიშვილი იმხელა საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ იყო, რომ შანსი არ იყო, ეს არ მიეღო! პირდაპირ სახელითა და გვარით დაწერეს, ივანიშვილის რუსეთში ნაშოვნი მილიარდები საქართველოს გაუბედურებას ხმარდებაო.

***— ოპოზიციის შიგნითაც პროცესებს ივანიშვილი მართავსო. ამაზე რას ფიქრობთ?***

— თუ ელისაშვილი იგულისხმება მაგაში, მაშინ ვეთანხმები. თუ ირმა ინაშვილი იგულისხმება, ვეთანხმები.

***— კიდევ ვინ არის ოპოზიციის შიგნით ისეთი, ვინც ამ ერთობას ხელს უშლის?***

— საუბრობენ ერთობაზე და ეს ერთობა რისთვისაც შედგა, ეს მიზანი მიღწეულია. ვგულისხმობ იმ ცვლილებას, რომელიც მიიღო პარლამენტმა. თბილისის მაჟორიტარებზე იყო ლაპარაკი და ამაზეც შეთანხმდნენ. რეგიონებზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი.

***— რატომ, რეგიონებში საერთო მაჟორიტარი ცუდი იდეაა?***

— გამორიცხულია, ვერ შეთანხმდება ყველა. თბილისი სხვა შემთხვევაა და აქ მოხერხდა შეთანხმება. აქ ერთმანეთისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ. ყველგან რანაირად შეთანხმდებიან. ყველა პარტიას აქვს მიზანი, რომ თავისი მაჟორიტარი გაიყვანოს.

***— ვანო მერაბიშვილს სამცხე-ჯავახეთის მაჟორიტარობა სურს და ამაზეც უთანხმოებაა ოპოზიციის შიგნით?***

— ვინ არის ერთი წინააღმდეგი? რა, ალეკო ელისაშვილმა უნდა გადამიწყვიტოს, ვანო მერაბიშვილი კენჭს იყრის თუ არა?! ძალიან სასაცილოა. ჩატარდება არჩევნები და შედეგსაც ვნახავთ.

ესენი ხელისუფლებაში ველარ დარჩებიან.

# ვაჟა ტყებუჩავას მკვლელობისთვის ფოთში 4 პირი დააკავეს

3 ივლისს ფოთში 43 წლის მამაკაცი, რომელიც დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ პანაშვიდიდან გაიტაცა, სასტიკად ნაცემი ნაგავსაყრელზე იპოვეს.

მოგვიანებით ვაჟა ტყებუჩავა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დაპირისპირება, სავარაუდოდ, ნარკოტიკებს უკავშირდება. საქმეში ორი კანონიერი ქურდი ფიგურირებს. „კურიერის" ინფორმაციით, მკვლელობა სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა – ჯუმბერ ბაიარამიდიმ, იმავე „ბონჩომ" დაუკვეთა.

ცოლ-ქმარი, რომელიც „კურიერთან" საუბარზე უარს ამბობს, ჯუმბერ ბაირამიდის, მეტსახელად „ბონჩოს" მშობლები არიან. ე.წ. კანონიერი ქურდის დედ-მამა ფოთში მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს.

ვაჟა ტყებუჩავას მამას ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდნენ, რაც ის გატაცებული შვილის ადგილსამყოფლის მოსაკითხად კონკრეტულ მისამართზე მივიდა.

მოკლულის მშობელმა წინასწარ იცოდა, რომ მის შვილზე ანგარიშსწორებას სხვა ქვეყანაში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდი „ბონჩო" გეგმავდა. დაკარგული შვილის მოსაძებნად მისულს კი კრიმინალური ავტორიტეტის ნდობით აღჭურვილმა პირებმა სცემეს და არ უთხრეს, სად იმყოფებოდა 43 წლის ვაჟა ტყებუჩავა, რომელიც უკანონოდ გაიტაცეს.

ყველაფერი ქუჩიშვილის ქუჩაზე დაიწყო, როდესაც მამა-შვილი ტყებუჩავები ერთ-ერთი ახლობლის პანაშვიდზე იმყოფებოდნენ. მათ მოულოდნელად თავს რამდენიმე ადამიანი დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. ამ ადგილიდან 43 წლის მამაკაცი ახლოს მდებარე სკოლის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, სადაც დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში საქმის ე.წ. ქურდული გარჩევა მიმდინარეობდა. ფაქტის მოწმე სკოლის დარაჯია.

როგორც თვითმხილველები „კურიერთან" ყვებიან, ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის „ბონჩოს" გარემოცვის 10-მდე წევრი ხელკეტებით სცემდა ვაჟა ტყებუჩავას, რომელიც ამ დაპირისპირებაში მარტო იყო. სკოლიდან ის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მანქანით გადაიყვანეს, სადაც სასტიკად ნაცემი ადგილზევე დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ სასწრაფო ადგილობრივებმა დროულად გამოიძახეს, ნაცემი ახალგაზრდა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.



„კურიერმა" გაარკვია, რომ ჯუმბერ ბაირამიდის პირადი კონფლიქტი ჰქონდა ასევე ქურდული სამყაროს წევრ რუსლან გუგუნავასთან, რომელიც ასევე საქართველოში არ იმყოფება. წლების წინ დაწყებული კრიმინალური დავის მოგვარებას მხარეები, უკვე დიდი ხანია სწორედ ერთმანეთის გარემოცვის წევრებზე ანგარიშსწორებით ცდილობენ.

პოლიციამ მიაგნო ავტომობილს, რომლითაც ამ ჩხუბში მონაწილე პირები სარგებლობდნენ. ამოღებულია ნივთმტკიცებები. მკვლელობაში მონაწილე ყველა პირიც იდენტიფიცირებულია.

4 ივლისს ვაჟა ტყებუჩავას მკვლელობის საქმეზე 3 პირი დააკავეს.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობისა და თავისუფლების უკანონო ალკვეთის ბრალდებით, სამი პირი დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, თანმხლებ პირებთან ერთად, 1976 წელს დაბადებულ ვაჟა ტყებუჩავას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, ბასრი საგნისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

უგონო მდგომარეობაში მყოფი ვაჟა ტყებუჩავა გადაყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მალევე გარდაიცვალა".

5 ივლისს პოლიციამ კიდევ ერთი პირი, 1989 წელს დაბადებული გ.რ. დააკავა.

გ.რ.-ს მიმართ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, ასევე, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა და მისმა თანმხლებმა პირებმა 1976 წელს დაბადებულ ვაჟა ტყებუჩავას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, ბასრი საგნისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისა და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენის მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს", – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# მოჭიდავე იური ლომაძე ადამიანის გატაცებისა და წამებისთვის დააკავეს

4 ივლისს, გვიან ღამით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 5 ადამიანი დააკავეს.

დაკავებულთა შორის არის ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის პრიზიორი იური ლომაძე. მასთან ერთად დაკავებულია მისი ძმაც, ფეხბურთელი ლუკა ლომაძე.

„მთავარი არხის" მტკიცებით, იური ლომაძე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, გეგა გეგეშიძის ახლო გარემოცვის წევრია.

გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულებმა 1988 წელს დაბადებულ ნ.ძ.-ს ქალაქ ბათუმში, შურისძიების მოტივით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, კერძოდ, ძალის გამოყენებით ჩასვეს მ.ბ.-ს მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილში, წაიყვანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურში, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში, სადაც ფიზიკურად გაუსწორდნენ.

„წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯგუფური ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს", – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

დანაშაული 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გუშინ, 5 ივლისს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხუთივე პირს, მათ შორის მოჭიდავე იური ლომაძეს, პატიმრობა შეეფარდა.

გადაწყვეტილება მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძემ მიიღო.

ბრალდებულების ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ. მათ მიაჩნიათ, რომ სასამართლოს შუამდგომლობა გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით უნდა გაეთვალისწინებინა, რადგან დაკავებულები ნასამართლევები არ არიან.

თავად ბრალდებულები დუმილის უფლებას იყენებენ, დაკავებულების ოჯახის წევრები კი მოქალაქის გატაცების ფაქტს უარყოფენ.

*პრაიმ ტაიმი*

# დავით მუმლაძის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ასათიანი გაამართლეს

## ჯღარკავას – 20, მიროტაძესა და ღუბიანურს – 10-10, დულაშვილსა და გეთაშვილს 9-9 წელი მიესაჯათ

3 ივლისს რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოსამართლემ 35 წლის დავით მუმლაძის მკვლელობის, ჯგუფურად უკანონო თავისუფლების ალკვეთისა და უკანონო თავისუფლების აღკვეთის ხელშეწყობაში ბრალდებული 6 პირის მიმართ განაჩენი გამოიტანა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მუმლაძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებული გიორგი ასათიანი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და დარბაზიდან გათავისუფლდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოკლული დავით მუმლაძის ოჯახის წევრების მხრიდან ხმაური და პროტესტი მოჰყვა.

მკვლელობაში ბრალდებულ ზურაბ ჯღარკავას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ბრალდებულებს – დავით მიროტაძეს და მიხეილ ღუბიანურს – 10-10 წლით პატიმრობა შეეფარდათ, დიმიტრი დულაშვილსა და გიორგი გეთაშვილს კი 9-9 წელი.

საქმეში ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ და დუმილის უფლებით სარგებლობდნენ.

ადვოკატების განცხადებით, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, კერძოდ, არც მოწმეთა ჩვენებები, არც ვიდეო ჩანაწერები, რომელიც, მათი დაცვის ქვეშ მყოფების ბრალეულობას დაამტკიცებს.

დავით მუმლაძის მკვლელობის საქმეზე 5 პირი გასული წლის 7 ოქტომბერს დააკავეს, მათ შორის, მოქმედი და ყოფილი პოლიციელები, ზურაბ ჯღარკავაზე კი ძებნა გამოცხადდა. ის სამართალდამცავებმა 2 იანვარს წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვები პუნქტთან, მდინარის პირას დააკავეს.

დავით მუმლაძის საქმეზე დაკავებულ ზურაბ ჯღარკავასა და გიორგი ასათიანს ჯგუფურად უკანონო თავისუფლების აღკვეთა და განზრახ მკვლელობა ედებოდათ ბრალად, შსს-ს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებს დავით მიროტაძესა და მიხეილ ღუბიანურს, ასევე ყოფილ სამართალდამცავ დიმიტრი დულაშვილს – ჯგუფურად თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ხოლო გიორგი გეთაშვილს – უკანონოდ თავისუფლების აღკვეთაში ხელშეწყობა.

35 წლის დავით მუმლაძის ცხედარი მდინარე მტკვარმა რუსთავში 2019 წლის 5 ოქტომბერს გამორიყა. არსებული ინფორმაციით, მას სხეულზე 30-ზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

# საბედისწერო ნიშნობა დმანისში

## მოკლულია 20 წლის ბიჭი




დმანისში ხელის სათხოვნელად მეზობელ სოფელში სტუმრობის შემდეგ 20 წლის ბიჭს ახალგაზრდების ჯგუფი დაუპირისპირდა, რაც 20 წლის ბიჭის მკვლელობით დასრულდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მათი მეზობელი საქმის გასარჩევად დაიბარეს.

„ჩვენი მეზობელი ბიჭი მეზობელ სოფელში ამბის გასარჩევად დაიბარეს. როგორც გავიგეთ, გოგოს ამბავზე მომხდარა დაპირისპირება. თუმცა, რამდენად სიმართლეა, არ ვიცით", – ამბობენ ადგილობრივები.

დმანისში განზრახ მკვლელობის ბრალდებით აზერბაიჯანის მოქალაქეა დაკავებული.

„ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული ს.ვ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დმანისის მუნიციპალიტეტში, ნაცნობს – 2000 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი კაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა", – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# შინაგან საქმეთა მინისტრი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ ტოივო კლაარს შეხვდა.



შეხვედრაზე მხარეებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ გამოწვევებსა და ამ კუთხით დასავლელი პარტნიორების აქტიური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ვითარებაზე.

ვახტანგ გომელაურმა ასევე ხაზი გაუსვა საოკუპაციო ძალების მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვის პრობლემასა და ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფაქტებს.

# რუსთავში 30 წლის ცოლმა 40 წლის ქმარს სცემა

რუსთავში ცოლმა ქმარს სცემა.

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ფაქტი თოდრიას ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში დაფიქსირდა.

სიტყვიერი დაპირისპირებისა და კამათის შემდეგ 30 წლამდე ქალმა 40 წლამდე მამაკაცს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და 2 მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით სცემა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს დაზიანებები სახის არეში ჰქონდა მიყენებული.

ადგილზე გამოიძახეს პოლიცია. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება, სავარაუდოდ, სსკ 126-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

# დიდ დიღომში მე-6 სართულიდან ბავშვი გადავარდა

3 ივლისს თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-6 სართულიდან მცირეწლოვანი ბავშვი გადავარდა.

– ძიძას გადმოუვარდა ბავშვი, ასე თქვეს ეზოში. როგორც გავიგეთ გვიან საღამოს, მძიმე მდგომარეობაშია. წინა კორპუსიდან გოგო კიოდა, ბავშვიო, რომ ყვიროდა, მეთქი რა ბავშვი, დახმარება ხომ არ გინდათ-მეთქი.

ამის შესახებ „მთავარ არხს" დიდ დიღომში მომხდარი ინციდენტის თვითმხილველმა უთხრა.

შსს-მ გამოძიება სსკ 124-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს.

# სენაკში მდინარე ტეხურაში 19 წლის ბიჭი დაიხრჩო

სენაკში, ნოქალაქევის ტერიტორიაზე, მდინარე ტეხურაში 19 წლის ბიჭი დაიხრჩო.

ახალგაზრდა მამაკაცს, სავარაუდოდ, გული გაუჩერდა. თვითმხილველებმა წყლიდან მისი ამოყვანაც შეძლეს, თუმცა სასწრაფოს მისვლამდე მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

# „3 შვილის დედამ არ იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო"

## რა მოხდა კასპში

კასპის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა ქალმა სახლში იმშობიარა. მოგვიანებით ჩვილის ცხედარი საპირფარეშოში ნახეს.

არსებული ინფორმაციით, ქალმა მშობიარობის შემდეგ საავადმყოფოს ძლიერი სისხლდენის გამო მიმართა. ექიმმა კი პოლიციას შეატყობინა.

ადგილობრივების თქმით, გოგოს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ 9 თვის განმავლობაში ფეხმძიმედ იყო.

– არც ქმარმა იცოდა, არც დედამ. 8 თვის იყო ბავშვი და მუცელშივე მოკვდა, მიცვალებული დაბადა, – ამბობს მეზობელი.

მეზობლების ინფორმაციით, 24 წლის ქალს 3 შვილი ჰყავს.

– წინა წელსაც არ ემჩნეოდა არაფერი და აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ იყო. ექიმმა გააგზავნა კასპში და აღმოჩნდა, რომ ფეხმძიმედ იყო. ასე იმშობიარა წინა წელსაც, რომ არაფერი არ ემჩნეოდა, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

შსს-ში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით დაიწყო, რაც დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# გლდანში ლიფტის შახტაში 6 წლის ბავშვი ჩავარდა

თბილისში, გლდანში, ლიფტის შახტაში 6 წლის ბავშვი ჩავარდა.

გამოძახებული ლიფტის კარი კაბინის გარეშე გაიღო, ბავშვი კი ღია კარში შევიდა.

ბავშვი თემქაზე, ბავშვთა პედიატრიულ „პრივატ კლინიკაშია" გადაყვანილი.

ის კლინიკაში მშობლებმა წაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დრომდე მძიმეა. მომხდარზე გამოძიება გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საერთაშორისო

# საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარ ფილიპი გადადგა

3 ივლისს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარ ფილიპი თანამდებობიდან გადადგა.

საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტის დასახელებამდე ედუარ ფილიპი პრემიერ-მინისტრის მოვალეობას შეასრულებს.



ემანუელ მაკრონმა ივნისში განაცხადა, რომ ქვეყანაში ცვლილებების განხორციელება სურდა.

ედუარდ ფილიპს კოვიდ 19-ის კრიზისის დროს განხორციელებული ზომების შესახებ დაკითხავენ.

რესპუბლიკის იუსტიციის სასამართლო განიხილავს საქმეს, რომლის ფარგლებშიც ყოფილ პრემიერ-მინისტრს კატასტროფასთან არასათანადოდ ბრძოლაში ადანაშაულებენ.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ყოფილ პრემიერს 2 წლამდე პატიმრობა და ჯარიმის გადახდა დაეკისრება.

# თურქეთი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ულაპარაკოდ უჭერს.

— ჩვენ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას არასოდეს ვაღიარებთ! — თქვა ჩავუშოღლუმ.

ამ განცხადებამ კრემლის მწვავე რეაქცია გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა აღნიშნა, რომ ყირიმის რუსეთთან გაერთიანება მომხდარი ფაქტია და მსოფლიო თანამეგობრობაც ამას უნდა შეეგუოს.

— ადრე თუ გვიან მსოფლიო იძულებული იქნება, ყირიმის რუსეთთან გაერთიანება აღიაროს, — თქვა ლავროვმა.

# ვენაში რამზან კადიროვის მოწინააღმდეგე მოკლეს

ვენაში ჩეჩნეთის ეროვნული მოძრაობის აქტივისტი და იჩკერიის რესპუბლიკის შარიატის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი მამიჰან უმაროვი მოკლეს.

ის ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული რეჟიმის ხელმძღვანელ რამზან კადიროვს მწვავედ აკრიტიკებდა.

ავსტრიის პოლიციამ ქალაქ ლინცში უმაროვის მკვლელი დააკავა.

# ჩიკაგოში სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა

ოთხი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა ჩიკაგოში მომხდარი ინციდენტის შედეგად. ამის შესახებ ადგილობრივი პოლიცია იუწყება.



დაღუპულთა შორის ერთ-ერთი 14 წლის მოზარდია.

ოთხმა შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გაუხსნა ადამიანთა ჯგუფს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სროლის შედეგად ორი ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ორი მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციამ დაკავების ოპერაცია დაიწყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სათავეში ორხელისუფლიანობაა. კახელებმა უმაღლესში მოიგეს




**დინამო (ბთ)-საბურთალო 1:1**

**ბათუმი. ანგისა**

0:1 ნონიკაშვილი (61), 1:1 ჯიღაური (66)

74-ე წუთზე ფლამარიონმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** ალავიძე, გეგეჭკორი, კობახიძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ცინცაძე (ტეიდი 46), ჯიღაური, მანჯგალაძე (გაფრინდაშვილი 66), მამუჩაშვილი, დვალიშვილი (ნიქაბაძე 60), ფლამარიონი

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი (კ), გრიგალაშვილი, ჭიჭინაძე, ნონიკაშვილი (ბელიაევი 72), მაჭარაშვილი, ტერა, ალთუნაშვილი, ტაბატაძე, კოხრეიძე (გულიაშვილი 90), ქავთარაძე (ცნობილაძე 76)

**გაძევება:** მაჭარაშვილი (73)

ეროვნული ლიგის მე-4 ტური ბათუმში დინამოსა და საბურთალოს მატჩით დაიწყო. ორივე გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და საინტერესო თამაშის მოლოდინში ვიყავით.

ასეც მოხდა — ბრძოლა შედგა, მაგრამ — ნაკლებად სანახაობრივი. საბურთალომ უკეთესად დაიწყო და ზღვისპირელებზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, მაგრამ მე-20 წუთისთვის მოედანზე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დინამო ბურთს აკონტროლებდა, მაგრამ მხოლოდ საჯარიმომდე მიჰქონდათ, შემდეგ კი გამწვავებას ვერ ახერხებდნენ. თავის მხრივ, კონტრშეტევები არც საბურთალოს გამოსდიოდა.

პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი ხიფათი შეიქმნა — მანჯგალაძემ და დვალიშვილმა ბურთი კარგად გაითამაშეს, მაგრამ კიდევ ერთი ზედმეტი პასი მოინდომეს და მომენტიც განიავდა.

მეორე ტაიმი უკეთ ბათუმმა დაიწყო, მაგრამ ერთ მონაკვეთში აირივნენ და ლევან ნონიკაშვილმა საჯარიმოს გარედან ისე დაარტყა, რომ ბურთი სანამ კარში შევარდებოდა, ორივე ძელს შეეხო.

დინამომ მალევე გაათანაბრა — მანჯგალაძის ჯარიმის შემდეგ ბურთს ჯაბა ჯიღაურმა შეუცვალა მიმართულება და კარში აღმოჩნდა.

მალევე საბურთალო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა — მსაჯმა მოედნიდან ლევან მაჭარაშვილი გააძევა, ხოლო დედაქალაქელთა კარში პენალტიც დანიშნა. თუმცა, 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი ლაზარე კუპატაძემ ჯოვინო ფლამარიონს აუღო.

10 კაცით დარჩენილი საბურთალო თავს იცავდა, რაც კარგად გამოუვიდა და ზღვისპირეთიდან მნიშვნელოვანი ქულა წაიღო.

ეს ბათუმელთა მე-4 ფრე იყო 4 ტურში, ხოლო საბურთალოს ქულით მეტი აქვს.

**დინამო (თბ)-ლოკომოტივი 4:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 კობოური (61), 2:0 კაპანაძე (72პ), 3:0 კირკიტაძე (79სკ), 4:0 პერნამბუკო (90)

**დინამო:** კვასხვაძე, კობოური, ლოჩოშვილი, მექვაბიშვილი (დაფე 78), ტრუბოჩკინი (იაშვილი 46), ქიმაძე, პაპავა (კ), კუცია, ბულრიძე (ქავთარაძე 60), პერნამბუკო, თ.კაპანაძე

**ლოკომოტივი:** შეროზია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, შონია, სამურკასოვი (არველაძე 73), დ.კირკიტაძე (თ.კირკიტაძე 60), ძებნიაური, კობახიძე (ც.კაპანაძე 45), სიხარულიძე

**გაძევება:** უბილავა (42)

ჩემპიონატის ლიდერისა და მეორეადგილოსნის მატჩი თითქოს დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისის დინამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კორონავირუსის დროს შეჩერებული ჩემპიონატი ყველაზე უკეთ გამოიყენა.

კრისტალბეთ ეროვნული ლიგის განახლებისთანავე დინამომ ჯერ უშუალო კონკურენტი საბურთალო გაანადგურა 3:0, ამჯერად კი ასევე ჩემპიონატში მაღალი ადგილებისთვის მებრძოლ ლოკომოტივს 4:0 მოუგო.

არადა, ეს ანგარიში სრულად კიდევ არ ასახავს დინამოელთა იმ უპირატესობას, რომელიც დერბის მასპინძლებს ჰქონდათ. ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა, მაგრამ მინიმუმ ამდენივეს გატანა დინამოელებს პირველივე ნახევარში მართებდათ.

ლოკოს მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ 42-ე წუთზე კაპიტანმა დავით უბილავამ ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და საკუთარი გუნდი კაცნაკლული დატოვა.

თუმცა, უფრო დიდი კატასტროფა სოსო ფრუიძის გუნდს მაშინ შეემთხვა, როდესაც ლუკა შეროზიამ შორიდან დავით კობოურის არცთუ სახიფათოდ დარტყმული და იოლად მოსაგერიებელი ბურთი ვერ დაიჭირა და დინამომ ანგარიში გახსნა.

შემდეგ საქმის ბოლომდე მიყვანა მარტივი საქმე გახდა — თორნიკე კაპანაძე მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აქცია გოლად, შემდეგ ლოკოს უბედურებას ისიც დაემატა, რომ თორნიკე კირკიტაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ხოლო ბოლო ლურსმანი ბრაზილიელი პერნამბუკუსი იყო, რომელმაც ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა — 4:0.

**თელავი-სამტრედია 3:1**

**თელავი. კავკასიონი არენა**

1:0 ბერიაშვილი (4), 1:1 ყურბანოვი (9პ), 2:1 რუხაძე (22პ), 3:1 ძოწენიძე (54)

**თელავი:** გოშაძე, თოლორდავა, ბერიაშვილი, ჩუკვურა, ძოწენიძე, ჩაბრაძე, მ.ბაშელეიშვილი, რუხაძე (ნ.ბაშელეიშვილი 86), მოსიაშვილი (ვარშანიძე 58), სამუშია (კვასოვი 72), კოხრეიძე

**სამტრედია:** სეფიაშვილი, კილასონია, ახალაძე (ფერეირა 85), ინკუმი, კვირკვია (ლუკავა 63), ქოჩლაძე (ილურიძე 46), ყურბანოვი, მესიაჩენკო, დისი, სამბუ, იმნაძე

ზუსტად 14 წელია, კახურ გუნდს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში არ მოეგო. ბოლოს ეს, 2006 წელს, თელავის კახეთმა გააკეთა. მას შემდეგ კახეთს უმაღლეს ლიგაში წარმომადგენელი აღარ ჰყოლია.

14 წლის შემდეგ კი კახელებმა კვლავ გაიხარეს. საფეხბურთო კლუბმა თელავმა, რომელიც ეროვნული ლიგის დებიუტანტია, მე-4 ტურის დაპირისპირებაში სამტრედიას შინაურ კედლებში 3:1 მოუგო და 3 ქულაც დამსახურებულად ჩაიწერა.

მასპინძელთაგან გოლები ილია ბერიაშვილმა, ირაკლი რუხაძემ და თორნიკე ძოწენიძემ გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან თავი ლეგიონერმა ყურბანოვმა გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ 4 ტურის შემდეგ თელავი კვლავაც წაუგებელია და მიჯრით ნათამაშები 3 ფრეს შემდეგ გემო გამარჯვებასაც გაუსინჯა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ კახელები 6 ქულით მე-4 ადგილზე არიან.

**ჩიხურა-დილა 0:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1, 0:2 კოვტალიუკი (22, 38)

**ჩიხურა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, კამლაძე, კაშია, კორიფაძე (დეკანოიძე 58), ჯავაშვილი, ჩიკვაიძე (კიკაბიძე 46), გვაზავა, კახაბრიშვილი, წიქარიძე, ბუხაიძე (მუჯირი 46)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, ხურცილავა, მაისაშვილი (კ), ჩიტეიშვილი (იენდეუნტი 61), ეტოუ, ნონდი (გორგიაშვილი 71), მარკოზაშვილი, გაგნიძე, სპანდერაშვილი (ლაცაბიძე 58), კოვტალიუკი

პანდემიის შემდგომ განახლებულ ეროვნულ ჩემპიონატს თბილისის დინამო და გორის დილა ლიდერობენ. 4 ტურის შემდეგ ორივეს თანაბარი 8-8 ქულა აქვს.

გორელები თბილისელებს მას შემდეგ გაუთანაბრდნენ, რაც გასვლით შეხვედრაში საჩხერის ჩიხურა 2:0 დაამარცხეს. რა ხანია, ჩიხურა საშინაო მატჩებს მშობლიურ ქალაქში ველარ ატარებს, რადგან სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. მანამდე ზემოიმერლები საშინაო მატჩებს მეტოქეებს მიხეილ მესხზე მასპინძლობენ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დილამ მეტოქე პირწმინდად დაჩაგრა და გაცილებით დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ. საბოლოოდ კი გიორგი ნემსაძის გუნდმა ჩიხურას 2 გოლი აკმარა, დუბლი კი მიკოლა კოვტალიუკმა გაიფორმა. გორელთა უკრაინელმა ლეგიონერმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| 2.დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 4.თელავი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 6 |
| 5.საბურთალო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 6.დინამო (ბთ) | 4 | 0 | 4 | 0 | 3-3 | 4 |
| 7.სამტრედია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 8.მერანი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 9.ტორპედო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 10.ჩიხურა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## კორონავირუსის ფორმის ნამცხვარმა მყიდველები აღაფრთოვანა




ტაილანდში რამდენიმე ოჯახური საწარმოს მფლობელებმა, რომლებიც ქუჩის დახლებზე ვაჭრობენ, კორონავირუსის ფორმის ნამცხვრის გაყიდვა დაიწყეს.

ტკბილეული წარმოადგენს ერთმანეთთან შეერთებულ ორ ნახევარსფეროს, დამზადებულს ბრინჯის ფქვილისგან. მის შიგთავსს კი ქოქოსის რძე წარმოადგენს. ამ ნახევარსფეროებს შავი და წითელი ბრინჯისგან აცხობენ. ასევე ნამცხვარს დამატებული აქვს „კორონა", რომელიც მოხარშული ბოსტნეულისგანაა დამზადებული. ამგვარად საკონდიტრო ნაწარმი კოვიდ 19-ის გამოსახულებას დაემსგავსა, რომელსაც ტელევიზორში აჩვენებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვირუსის ფორმის ნამცხვარმა ბანგკოკის მცხოვრებლების ყურადღება მიიპყრო და ქუჩის დახლებთან აღფრთოვანებული მომხმარებლების დიდი რიგები დადგა.

## ირლანდიელებმა უზომოდ დიდი რაოდენობით ლუდის შეძენა დაიწყეს

ირლანდიაში კორონავირუსის პანდემიის გამო შემოღებული კარანტინის წესების შემსუბუქებისთანავე, ბარში მომხმარებელმა საათნახევრის განმავლობაში 42 პინტი ლუდი შეუკვეთა.




შეკვეთის დამადასტურებელ ქვითარს დუბლინიდან ერთი საათის სავალზე მდებარე ქალაქ ატბოის სასტუმრო Darnley Longe Hotel-ის ბარში გადაუღეს ფოტოსურათი. მასში მითითებულია 189 ევროს ღირებულების 42 პინტი ლუდი Guinness-ი. სასტუმროს თანამშრომლის თქმით, მართალია, უზომოდ დიდი რაოდენობით ლუდი ერთმა ადამიანმა იყიდა, თუმცა მას სხვებიც სვამდნენ.

მსგავსი შემთხვევების შესახებ ინფორმაციები ვრცელდება მთელი ირლანდიის მასშტაბით. მაგალითად, ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომლის ადგილმდებარეობა არ სახელდება, მომხმარებელმა ერთ ჯერზე 183 ევროს ღირებულების 31 პინტი ლუდი შეუკვეთა, ხოლო დუბლინის გარეუბანში მდებარე ბარში განაცხადეს, რომ ერთმა პირმა 340 ევროს 72 პინტი ლუდი შეუკვეთა. ასევე აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევებში მომხმარებლები სასმელზე მისაყოლებლად არაფერს უკვეთავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# გიორგი უშიკიშვილი „მთავარ არხზე“ გადაცემის წამყვანია

მომღერალი გიორგი უშიკიშვილი „მთავარ არხზე" გადაცემის წამყვანია.



მის საავტორო გადაცემას „ჩვენებური ევროპა" ჰქვია და ყოველ კვირას ტელეკომპანია „მთავარი არხის" ეთერში გავა.

— ვიწყებთ! „მთავარ არხზე" ჩემი მოგზაურობა საქართველოში გადაცემათა ციკლში „ჩვენებური ევროპა" — გპირდებით ძალიან საინტერესო მოგზაურობას. გვიყურეთ, — განაცხადა მომღერალმა.

# ნიკა ქავთარაძე: „თქვენი ღირებულების განმსაზღვრელი თქვენი თავისუფლებაა“

ასე მიმართავს იუმორისტი ნიკა ქავთარაძე ყველა იმ ადამიანს, რომლებიც სახელმწიფოს ფულზე არიან დამოკიდებულნი:



— იმის გამო, რომ სახელმწიფოს ფულზეა უამრავი ადამიანი დამოკიდებული, ისინი საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავს იკავებენ.

ისეთ ხალხს ვგულისხმობ, ვისგანაც ამის მოლოდინი შეიძლება გვქონდეს, კარგ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ.

„ის ორი კაპიკიც რომ არ დავკარგო" — იტყვის ძალიან ნიჭიერი ადამიანი, უამრავი რამის მიღწევა რომ შეუძლია.

უბრალოდ, თქვენი ღირებულების განმსაზღვრელი არის თქვენი თავისუფლება. ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ დუმილში არც ისე ბევრს იღებთ.

# გოგი გვახარია ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორის წინააღმდეგ

კინომცოდნე გოგი გვახარია ილია ჭავჭავაძის სახელობის საგურამოს მუზეუმის დირექტორს დაუპირისპირდა. ამის მიზეზი მუზეუმის ხელმძღვანელის მიერ „ქართული მარშისთვის" პარტიის ყრილობის ჩასატარებლად 3000 ლარად დათმობილი სივრცე გახდა:



— ილიას მუზეუმის დირექტორი ამბობს, რომ არ იცის და არც აინტერესებს, ვის დაუთმო სამუზეუმო სივრცე 3000 ლარად.

მე კი არ მჯერა, რომ არ იცის, მაგრამ, ჯანდაბას, დავუჯეროთ და დავასკვნათ, რომ არაფერია იმაზე უფრო გულისამრევი, ვიდრე უფხო, დამფრთხალი, კონფორმისტი, „მე პოლიტიკა არ მაინტერესებს" ინტელიგენცია.

ესაა გაგრძელება თემისა „არ ვიცი, ვინაა მძინარაშვილი, ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ... დიახ, ბატონო წამყვანო".

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**კალეიდოსკოპი**

## ქალმა ბავშვებს მისი შიშველი მკერდის მოხატვის უფლება მისცა და თავი ციხეში ამოყო



ინდოეთის კერალას შტატში აქტივისტი ქალი რეხანა ფატიმა დააპატიმრეს, რომელმაც გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც გადაღებულია, თუ როგორ უხატავენ შიშველ მკერდს და მუცელს ფლომასტერებით ბავშვები.

ფეისბუქსა და იუთუბიში გამოქვეყნებულ კადრებს თან ახლდა კომენტარი, რომელშიც დაგმობილი იყო ქალის სხეულის და სიშიშვლის მიმართ ინდურ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები.

– როგორი სუბიექტურიცაა სილამაზე, ასეთივე სუბიექტურია პორნოგრაფიაც, – დაწერა ქალმა.

ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ კონსერვატიულმა პარტია „ბხარატია ჯანატა პარტიმ" პოლიციას განცხადებით მიმართა. ის ამტკიცებდა, რომ ფატიმას ვიდეო და კომენტარი ბავშვთა პორნოგრაფიას წარმოადგენს და არღვევს სექსუალური დანაშაულისგან ბავშვების დაცვის ქვეყნის კანონს.

დაპატიმრების შემდეგ აქტივისტს სექსუალური ხასიათის მასალების კავშირგაბმულობის ელექტრონულ საშუალებებში გავრცელების და ინდოეთის ერთ-ერთი კანონის დარღვევის ბრალდება წაუყენეს.

## ბებიამ შვილიშვილებთან ერთად პარკში სეირნობის დროს მსხვილი ალმასი იპოვა



ამერიკის არკანზასის შტატში ბებიამ შვილიშვილებთან ერთად პარკში „ალმასების კრატერი" მიწაში ჩაფლული 2,23 კარატიანი ალმასი იპოვა.

56 წლის ბეატრის უოტკინსი „ალმასების კრატერს" თავის ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ერთად სტუმრობდა. ის მიწას ჩიჩქნიდა იმის იმედით, რომ ძვირფას ქვას იპოვიდა და ამ დროს მან მზეზე მოელვარე მსხვილი ნივთი შენიშნა.

– ელვარება შევნიშნე, მაგრამ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ეს ალმასი იქნებოდა, – განაცხადა ქალმა, – ჩემმა ქალიშვილმა ინტერნეტში მისი მსგავსი ქვები ნახა და ივარაუდა, რომ ის პირიტი იყო. ასე რომ, ის ხელჩანთაში ჩავიდე და ძებნა გავაგრძელე.

ერთი საათის შემდეგ ოჯახმა გადაწყვიტა შეესვენათ და სოციალურ ცენტრში შეიარეს ნაპოვნის დასარეგისტრირებლად. იქ პარკის წარმომადგენელმა უოტკინსს განუმარტა, რომ მან ალმასი იპოვა.

– უზომოდ გამიხარდა, უბრალოდ ვერ ვიჯერებდი, – აღიარა უოტკინსმა, – და დღემდე ვერ დამიჯერებია.

„ალმასის კრატერის" პარკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ უოტკინსის მიერ ნაპოვნი ალმასი 2020 წელს ნაპოვნ ძვირფას ქვებს შორის უდიდესია.

ქალს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ როგორ გამოიყენებს ნაპოვნ ძვირფას ქვას. ჯერჯერობით ის შვილებისა და შვილიშვილებისთვის მემკვიდრეობით დატოვებას აპირებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სპორტი**

## მამუკელაშვილს ნბა-ში ვარაუდობენ

საქართველოს ნაკრებისა და ნცაა-ს კლუბ სეტონ ჰოლის კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ნბა-ს დრაფტზე კი დადგა, მაგრამ მოვლენები, შესაძლოა, ორნაირად განვითარდეს. ერთი ის, რომ სანდრო კანდიდატურას ბოლო მომენტში მოხსნის და ერთი წლით ისევ კოლეჯთა ლიგაში დარჩება; მეორე კი – კარიერას ნბა-ში გააგრძელებს.




21 წლის მამუკელაშვილი 211 სანტიმეტრის სიმაღლის ფორვარდია, რომელსაც 3 პოზიციაზე (მსუბუქი ფორვარდი, მძიმე ფორვარდი, ცენტრი) შეუძლია თამაში.

ამერიკული მედია წერს, რომ მამუკელაშვილს გასაუბრება ჰქონდა ნიუ იორკ ნიქსის ხელმძღვანელობასთან.

აი, რას წერს მედია:

– მამუკელაშვილს ჯერ არ გადაუწყვეტია, რას აპირებს უახლოეს მომავალში. თუ ისევ სეტონ ჰოლში დაბრუნდება, ეს კლუბისთვის უდიდესი შეღავათი იქნება, მას მერე, რაც სეტონ ჰოლმა ბრიუს აიკენი დაიმატა.

სეტონ ჰოლი ნიუ ჯერსის შტატში არსებული კლუბია, ნიქსი კი, პირველ რიგში, რეგიონში ეძებს ტალანტებს.

შეგახსენებთ, რომ პანდემიის გამო აქამდე ჩასატარებელი დრაფტი 16 ოქტომბრისთვის გადაიდო. ვარაუდობენ, რომ სანდრო მამუკელაშვილს 2021 წელს 50-ე ნომრად აირჩევენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**კალეიდოსკოპი**

## პოლიციელმა გოგონას ტელეფონით ისარგებლა და მისი ეროტიკული ფოტოსურათები გადაიწერა



ამერიკის მინესოტის შტატში პოლიციელს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წაუყენეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან დაკავებულს ტელეფონი ჩამოართვა და იქიდან მისი ეროტიკული ფოტოსურათები გადაიწერა.

36 წლის ალბერტ კიუნე ქალაქ დეიტონში ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მუშაობდა. მან მანქანის მძღოლი, 25 წლის გოგონა დააკავა, ვინაიდან დაეჭვდა, რომ ის, შესაძლოა, საჭესთან ალკოჰოლურ სასმელს იღებდა. შედეგად გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და გაუშვეს.

სახლში დაბრუნებულ გოგონას მისმა შეყვარებულმა, რომელიც ტელეფონთან მიერთებული მისივე ნოუთბუქით სარგებლობდა, აცნობა, რომ მისი სმარტფონიდან ეროტიკული ფოტოსურათები უცნობ ნომერზე იქნა გადაგზავნილი. როდესაც გოგონას შეყვარებულმა უცნობ ნომერზე დარეკა, მას კიუნემ უპასუხა. ამის შემდეგ გოგონა ადვოკატს დაუკავშირდა.

ლიუნეს წინააღმდეგ შიდა გამოძიება დაიწყო. ფორმაზე დამაგრებული მისი კამერის ჩანაწერმა აჩვენა, რომ ფოტოსურათების გადაგზავნის დროს მას ხელში გოგონას ტელეფონი ეკავა, ამ დროს კი გოგონა სასწრაფო დახმარების მანქანაში იმყოფებოდა. მოგვიანებით თავად ფოტოსურათები კიუნეს ტელეფონში იქნა აღმოჩენილი.

თუ პოლიციელს დამნაშავედ ცნობენ, მას ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 10 ათასი დოლარის ჯარიმა ემუქრება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სამგლოვიარო განცხადებები



## პაატა გოროდინსკის გამწარებული დედის მერამდენე საუბარი

შვილო, შენ 1999 წლის 28 ივნისს დამტოვე, 34 წლის ასაკში და დედაშენის მეხსიერებაში მხოლოდ ეს ასაკია. ამას ვერ გასცდა.

ტყუილად არ არის ნათქვამი, შვილი სულისა და ცხოვრების ნაწილია, ამასთანავე, არის გულის მალამო. ჩემს შემთხვევაში გულისტკივილი და გამანადგურებელი. ოჰ, რა საშინელებაა ამ ორი ადამიანის დაშორება, რომლის გარეშე ცხოვრება არარაობაა. ეს არის ტანჯვა გარკვეულ წლამდე. ეს არ არის ისეთი ცხოვრება, რომ იტყვიან, „ცხოვრება მშვენიერია", „ჩიტები ჭიკჭიკებენ". ცხოვრება გაუსაძლისია, მაგრამ შენს მოაჯირზე ჩიტები ჭიკჭიკებენ.

შვილო, არ ვიცი, დღეს როგორ ხარ შენ. ვიცი მხოლოდ, 34 წელი ვინ და რა იყავი. ამის იქით ვერაფერს ვხედავ, ვინ ხარ დღეს, მხოლოდ ვხედავ შენს ამხანაგებს, როგორ ჭაღარავდებიან. ასევე თურქულ სერიალში დავინახე შენი ადამიანობა, სხვისდამი პატივისცემა. ეს სერიალი 3-ჯერ გავიდა ხალხის მოთხოვნით და სამივეჯერ ვუყურე. მეგონა, ერთად ვიყავით, ისე თბილად იყო მშობლებთან და მშობლებიც თვალებში შეჰყურებდნენ. მეც ვცხოვრობდი მათ შვილთან ერთად... ამიტომ ვერ ვეგუები, ღირდა ამ ასაკში შენი წასვლა, ღმერთმა ძლიერმა რომ ისურვა. ვხვდები, ძლიერი და დალოცვილი გზა გაქვს არჩეული. მხოლოდ დედა იტანჯება მარტოობით. დედაშენი 80 წლის გახდა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენ და მამაშენი რომ ყოფილიყავით, მარტო არ შევხვდებოდი ამ ასაკს. ჩემო ანგელოზო, მართლა ანგელოზი და უბოროტო იყავი. მეცოდები მიწისთვის, მაგრამ სიცოცხლე საკუთრება არ ყოფილა. საკუთრება სიყვარულია, რომელსაც ვერავინ წაგართმევს. მხოლოდ ეს დამრჩა – ძალიან „მიყვარხარ"...

ჩემო იმედის წყაროვ, წყალივით წახვედი, თან გაიყოლე ჩემი იმედი და ფიქრები, წვალებითა და წამებით განვლილი დღეები. რატომ, რისთვის ვიკლავდი თავის? ამისთვის? ვეღარც შენ გაკითხავ და ვერც შენს ცხოვრებას. რატომ გამასწარი?! იწვის დედაშენი. ძნელია, ვინმემ გაგიგოს, სიყვარული და განცდა ყველას ერთნაირი არ აქვს.

შვილო, გასული 20 წელი რა იყო, არ ვიცი, მხოლოდ ახლა ვიცი, რა არის, რომელსაც არ უნდა, თავი დახაროს, ეს ასე იქნება. ძალიან ნუ ნერვიულობთ. სხვებს ესიზმრებით და მეუბნებიან.

შვილო, როდესაც კატასტროფის წინაშე დავრჩი და მამაშენმაც მიმატოვა, მეგონა, ვერ გადავიტანდი. სულ სიკვდილს ველოდი, მაგრამ ვიფიქრე, შენ ხარ მარტო ამ მკვდრების პატრონი. ამის მიზეზი მქონდა – გულისტკივილი, მუდმივი სევდა, აღარ დამრჩა სასიამოვნო ცხოვრება... ცხოვრება მიქრის. მე ფუჭ ფიქრებზე ვხარჯავ დროს. საფლავის გარდა არაფერი მაფიქრებს. რაც დამიტოვეთ, ბრწყინვალედ ვასრულებ „ჩემი ცხოვრების მუდმივ ტკივილს". დრო არ კურნავს ამ ამბავს, მაგრამ გადაგატანინებს, ნელ-ნელა შეგაჩვევს და ასე მიდის წლები ტანჯვით.

მადლობა ღმერთს, თქვენს საფლავს 20 წელია ვაცოცხლებ. 21-ე წელს ასე აღარ არის, ძალიან მიჭირს სიცოცხლე, მაგრამ თებერვალში მიცვალებულების დღე იყო. არ მინდოდა, რამე დაჰკლებოდა თქვენს სუფრას. ინგას ვუთხარი, აღარ შემიძლია ამ 80 წლის ქალს-მეთქი. მან მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს ასაკს... ეს იმას ნიშნავდა, რომ ისევ ვახერხებ რაღაცებს და გიხანგრძლივებთ სიცოცხლეს. ასე გელაპარაკებით ყველაფერს, რაც ხდება აქეთ.

რა ვქნა, ვხვდები, რომ აღარ შემიძლია. ჩემი გულშემატკივრები მეუბნებიან, რომ შევამცირო, ან გეყოფა ამდენი წელი ტანჯვა. მე იმიტომ მინდა სიცოცხლე, რომ ვაკეთო ჩემთვის საუკეთესო ორი დღე – შენი გარდაცვალება და დაბადება. ალბათ, ამას გრძნობ.

შვილო, კი არაფერს გამადლი, მაგრამ მართლა არ შემიძლია, მაგრამ შენი ღალატიც ჩემთვის იგივე სიკვდილია, ამიტომ ვწვალობ. როგორ გიღალატო, როცა ადამიანი აზროვნებს და იცის, რა უნდა გააკეთოს. შვილო, როგორ იგრძენი, შენი დაბადების დღის შემდეგ ცოტა დიდხანს ვერ მოვედი გონს. სამსახურში გავხდი ცუდად და თანამშრომლებმა ტაქსით გამომიშვეს. ციური დეიდას დაესიზმრა, რომ სთხოვე, დედაჩემი სამსახურიდან წამოიყვანეო. იმ დღემ ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც შენ იწინასწარმეტყველე. აი, ამიტომ მინდა სიცოცხლე, სიკეთის გაელვება რომ გაქვს... „დედი, ისევ გიყვარვარ და გეცოდები?!" ჩვენი დედაშვილობის ჯაჭვი არ გაწყვეტილა ამ 21 წლის განმავლობაში. რა ბედნიერი დედა ვიქნებოდი, შენ რომ გვერდით მყავდე.

პაატა, ჩემს უფროსს, ნუნუ დეიდას დავესიზმრე და მითხრა, სლავა მოწყენილი გიყურებდაო. რატომ მაწყენინეთ? საფლავზე დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. ასევე მითხრა, რომ მეცვა ცოტა შეცვლილი ფერის ქვედატანი. პაატა, ესეც იგრძენით. ეკას მივეცი პირობა, რომ შევიცვლიდი რაღაც ცოტა ფერს. შენი თხოვნა ვერ შევასრულე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, მამაშენსაც უნდა და მეც აღარ დამრჩა დიდი ხნის სიცოცხლე. მიზეზი რუსას გაბედნიერებაა. ალბათ, თქვენც ძალიან გაიხარებთ, ამიტომ გისრულებთ თხოვნას.

ნათელში თქვენი სული!

*ტანჯული დედა ღუღუნი*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 3. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 4. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 5. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. მზის სისტემის პლანეტა; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 13. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 14. ჩაის დეგუსტატორი; 15. გამაგრილებელი სასმელების გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 17. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად:** 7. სასწრაფო სამუშაო გემზე, ეკიპაჟის მთელი შემადგენლობით; 8. მანათობელი მწერი; 9. მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 10. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 12. სამხედრო სატუსაღო; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 16. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 18. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 20. პოეტური ქმნილება; 21. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 22. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 23. ერთგულების მტკიცე პირობა; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სალათი; 2. იყალთო; 3. „მალვაზია"; 4. ჩხოუში; 6. „ზედაზენი"; 8. ახტალა; 11. ხოდაბუნი; 12. დეკორტი; 16. ლელვი; 17. მყესი; 18. პრესა.

**თარაზულად:** 1. სპრინტი; 5. ბრიზი; 7. კალმახი; 9. ახალუხი; 10. ფუნქცია; 13. ლაზიერი; 14. ბორანი; 15. კები; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. დიქცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაბაჭუა; 2. „ჩანგი"; 3. მაჩაბელი; 4. ზუროსი; 5. სტატიკა; 6. თაკვერი; 11. ქვოტა; 12. იანვარი; 14. „კრაისლერი"; 15. ჩერვონეცი; 17. პანამა; 18. ტრამპი; 19. ჯიდა.

**თარაზულად:** 7. შანხაი; 8. კაზუისტიკა; 9. ბადაგი; 10. ვაპორეტო; 12. „ხარისთვლა"; 14. კრაუჩი; 16. ოპონენტი; 18. ტრაქტორი; 20. ვალსი; 21. ბოი; 22. ბაჰრეინი; 23. იდეა; 24. ბატალიორი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0465

ევრო — 3.4221

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7947

100 რუსული რუბლი — 4.2811

## ამინდის პროგნოზი 6 ივლისისთვის




## ვერონი მესის ესტუდიანტესში ეპატიჟება



არგენტინული კლუბის ესტუდიანტესის პრეზიდენტი ხუან სებასტიან ვერონი ლიონელ მესის თავის გუნდში ეპატიჟება და ამბობს, რომ მესის ყოველთვის შეუძლია, ესტუდიანტესის 10 ნომერი გახდეს.

ვერონი მესის ბარსელონიდან წასვლას არ გამორიცხავს, რადგან ამჟამად გუნდში რთული ვითარებაა:

– ბარსელონა თაობათა ცვლას განიცდის და გუნდში ახალი სახეებია საჭირო. არ გამოვრიცხავ, რომ მესი წავიდეს და ამ შემთხვევაში მას ჩემს კლუბში ვეპატიჟები. მისთვის 10-ნომრიანი მაისური გამზადებული მაქვს და ჩვენი კარი მესისთვის ყოველთვის ღიაა.

## რეალმა ატლეტიკი დაამარცხა და ჩემპიონობას მიუახლოვდა

მადრიდის რეალმა ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, როდესაც სტუმრად ბილბაოს ატლეტიკი დაამარცხა ანგარიშით 1:0. შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის 73-ე წუთზე სერხიო რამოსმა პენალტით გაიტანა.

რეალი ფლობდა სათამაშო უპირატესობას და დამსახურებულად მოიგო.

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ 4 ტურია დარჩენილი და რეალი საკმაოდ სოლიდური უპირატესობით ლიდერობს სატურნირო ცხრილს.

## დე ბრუინი: „სიტი ფიზიკურად კარგადაა მზად“



მანჩესტერ სიტის ბელგიელმა შემტევმა კევინ დე ბრუინმა თავისი გუნდის შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერ სიტი ამჟამად პრემიერ ლიგაში ფიზიკური მომზადებით პირველ ადგილზეა.

კევინის აზრით, თუ მათ მომავალ სეზონში ეს ფორმა შეინარჩუნეს, მაშინ სიტი ჩემპიონობას დაიბრუნებს:

– ცუდია, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჩავდექით, როდესაც ჩემპიონობა უკვე დაკარგული იყო, მაგრამ, იმედი მაქვს, მომავალ სეზონში ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ჩვენ მხოლოდ პირველობა გვაინტერესებს და ნებისმიერი სხვა შედეგი ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი არ იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კვიპროსზე ალიგატორის მსგავსი არსება იპოვეს



უცნაური არსება, რომელიც ალიგატორს წააგავს, ჩრდილოეთ კვიპროსზე წყალსატევის ნაპირზე აღმოაჩინეს.

კვიპროსის ბუნების კვლევის ინსტიტუტის მონაცემებით, აღმოჩენილი არსება მისისიპური ჯავშნოსანია, რომელიც 10 კილოგრამს იწონის, მისი სიგრძე კი 112 სანტიმეტრს შეადგენს.

ეს პირველი დადასტურებული შემთხვევაა ამ რეგიონში მისისიპური ჯავშნოსანის ბინადრობის თაობაზე. სპეციალისტები დამატებით შეისწავლიან ნაპოვნ არსებას. ინსტიტუტის წყლის ინჟინერმა დერვიშ კავუსოგლუმ განაცხადა, რომ არსებას მინიმუმ ათი წელი სჭირდებოდა, ამ ზომებისთვის რომ მიეღწია.

მისისიპის ჯავშნოსანი ჩრდილოეთ ამერიკის ბინადარია და ის კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტკნარი წლის თევზია. ექსპერტების თქმით, ის შესაძლოა მისმა მფლობელმა გაუშვა წყალსატევში და უცნობია, იქ რამდენი ხანი ცხოვრობდა. მეცნიერები აპირებენ გამოიკვლიონ, თუ რითი იკვებებოდა ეს არსება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 ივლისისთვის

**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ოპერაში ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– როგორ მოგწონთ ჩემი მეუღლის სიმღერა?

– მაპატიეთ, ვერ გავიგე!

– შეგეკითხეთ, მოგწონთ ჩემი მეუღლის სიმღერა?

– მაპატიეთ, ცუდად ისმის, ეს დებილი, დაჭრილი დათვივით ღრიალებს!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ სუქდებიან ცოლიანი მამაკაცები?

– სახლში დაბრუნებული უცოლო მამაკაცი მაცივართან მიდის, შიგნით შეიხედავს და რომ დაინახავს ცარიელია, დასაძინებლად მიდის. ხოლო ცოლიანი მამაკაცი, სახლში დაბრუნების შემდეგ, საძინებელში შესული, დაინახავს იქ ვინც ელოდება, გამობრუნდება და მაცივარს მიადგება.

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, თხზულების დაწერაში დამეხმარე, რა.

– რა თემაა?

– ხალხის მტერი.

– დაწერე, დეპუტატი.

– ჰო, მაგრამ თხზულებაში მინიმუმ 120 სიტყვა უნდა იყოს.

– გვარები ჩამოთვალე.

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– ერთი ნახვით სიყვარულის გჯერათ?

– ჩემ ასაკში მხედველობა მღალატობს... ხელით გასინჯვაა საჭირო, ხელით!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბაჩანა ჭანტურიამ ჩოხის ელემენტებით შეკერილი პირბადე წარადგინა

ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავე ბაჩანა ჭანტურიამ ჩოხის ელემენტებით შეკერილი პირბადე საზოგადოებას წარუდგინა.



„პირჩოხა“ უწოდა ვახო კაკულიამ „ნაციონალური სამოსის სახლის“ მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებულ ჩოხის ელემენტებით შექმნილ პირბადეს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

## რობერტ სტურუა საქართველოს გამყიდველებს აფრთხილებს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა საქართველოს გამყიდველებს აფრთხილებს:

– რამდენი მტერი ჰყოლია საქართველოს – და, ვაი, რომ ეს მტრები ძირითადად ქართველები არიან!

მოიგონეს პარტიების სულელური სახელები: გირჩიო, ლელოო, ევროპელიო და ნაზიკოებიო! და:

„მხოლოდ ჩვენ ვიცითო, საით წავიყვანოთ ერიო!“

სინამდვილეში კი ხალხის, ქვეყნის ფულის წართმევაზე ოცნებობენ!

დიდი ბელადი, როცა უნდა, უკრაინის მოქალაქედ რომ გვევლინება, 9 წლის პრეზიდენტობის დროს მილიარდებს დაეუფლა!

მეორე – ანტისემიტი, ქართველებს ფული აართვა და არხეინად პარიზში ნებივრობს!

ფრანგების ღორებს შავი ჭირი ვერ შეჰყარა – შეეშინდა!..

თვალდახუჭულმა ბელადის მოადგილემ თავისი „ჯანჯუხათი“ თვალები ვერ გაახილა და ქურდბაცაცობისა და ისტერიის ჭაობში იძირება!

ნაყარნუყარი გოგო-ბიჭიკოები, პატარა ტურებივით რომ წკავწკავებენ და ნაქურდბაცაცს იყოფენ, მალე სხვას მიეცემიან!

ტელევიზია გინებამ და გაუგონარმა სიბილწემ წალეკა!

იფიქრებ, ამ ხროვას ქართველობის არაფერი აცხიაო, არც სულიერი (ამ სიტყვის ხსენებაზე სიცილის ბნედა ემართებათ!) და არც გენეტიკური!

საიდან მობრძანდნენ?

იქიდან!

ფრთხილად იყავით, საქართველოს გამყიდველებო!

იუდამ ქრისტე გაყიდა, თქვენც მისი ბედი არ აგცდებათ!

ხის ტოტი, თოკი და კისერი!

თუმცა თქვენ – მხდალ, აკანკალებულ უნიჭო ბრბოს ამის ოპოზიციაც არა გაქვთ!

## მუსიკოსი ზვიად ნაზღაიძე კუთვნილ ჰონორარს ითხოვს



მუსიკოსი ზვიად ნაზღაიძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილ ჰონორარს სთხოვს:

– ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას!

ერთი წელია, უშედეგოდ ვცდილობ, მივიღო კუთვნილი ჰონორარი! ველაპარაკე და შევხვდი რამდენიმე თქვენს თანამშრომელს – პიარს, ბუღალტერს, კანცელარიის წარმომადგენელს, დამლაგებელს, არ ვიცი, ყველას, ვისაც მივწვდი... ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ თქვენი თანამშრომლები ან არ პასუხობენ ზარებსა და წერილებს, ან ბლოკავენ ჩემს ნომერს! არიან აგრესიულები, უპასუხისმგებლოები და საშინლად პოლიტიზირებულნი. პოლიტიკას არანაირი კავშირი არ აქვს სამოქალაქო უფლებებთან, მიიღო კუთვნილი გასამრჯელო, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

ადამიანის კანონიერი უფლებების დარღვევასთან ერთად, მორალურ კანონებსაც უხეშად არღვევთ და მიბიძგებთ, რომ მივიღო უკიდურესი გადაწყვეტილებები!

კიდევ ერთხელ მოვითხოვ, რომ უმოკლეს ვადაში ჩამერიცხოს კუთვნილი ჰონორარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივმართავ ბრძოლის ყველანაირ ფორმას!

## რეჟისორი ზურაბ კანდელაკი რუმინეთში დააჯილდოვეს



საქართველოს რადიოს რადიოთეატრის მთავარი რეჟისორი ზურაბ კანდელაკი დააჯილდოვეს.

რუმინეთში გამართულ რიგით მერვე საერთაშორისო ფესტივალზე ქართველმა რეჟისორმა ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო.

საქართველოს რადიოს რადიოთეატრის მთავარი რეჟისორის მინი რადიოსპექტაკლი „ჯ.ჯ.-ს ბარათი“ რუმინეთის ფესტივალის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. ზურაბ კანდელაკმა მამუკა მაღულარიას პიესის „72 საფეხური უკვდავებამდე“ მიხედვით კორონავირუსის გამო მინი რადიოსპექტაკლი დისტანციურად ჩაწერა.

რუმინეთის საერთაშორისო რადიოდადგმებისა და მოკლე ფორმების ფესტივალის ჟიურიმ ქართველ რეჟისორს სპეციალური პრიზი მისი უნიკალური და პოეტური ენის, რადიოკულტურის გამდიდრების, მრავალი ორიგინალური ნაშრომისა და რადიოს ხელოვნებისადმი თავდადებისთვის გადასცა.

## ქეთევან კიკნაძე ტელევიზიებისთვის კანონის დაწესების მომხრეა



მსახიობი ქეთევან კიკნაძე მომხრეა, დაწესდეს ტელევიზიებისთვის კანონი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს გააკონტროლებს:

– შეიქმნა სატელევიზიო ცენტრი, რომლის ხელმძღვანელია ლარისა ხაჭაპურიძე, ხოლო მის შემადგენლობაში შედის კიდევ 5 პიროვნება. რის მიხედვითაც გამოვა კანონი ტელევიზიებისთვის. ეს შეეხება რესპონდენტის ესთეტიკურ მხარეს, ასევე ყურადღება მიექცევა წამყვანებისა და დიქტორებისთვის როგორც ჩაცმულობასა და ეთიკას, ასევე მათ განსწავლულობასა და ქართული, ლიტერატურული საუბრის მხარეს.

ასევე აიკრძალება ჟურნალისტების თავდასხმას პიროვნებაზე, ვინც არ უნდა იყოს ის. კანონი შეეხება ასევე სხვა არაეთიკურ მხარეს, რომელიც გამოქვეყნდება. კანონის დარღვევის შემთხვევაში ტელევიზია დაჯარიმდება. ასევე ჯარიმა შეეხებათ წამყვანებს. არაზუსტი ინფორმაციის გადმოცემისთვის ჯარიმა 10000 ლარი.

ასევე აიკრძალება ნიფხვით ეთერში გამოსვლა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. ფერადი, გაუმჭვირვალე მინის ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 3. ძველბერძენი მოქანდაკე, რომელმაც ააგო ცნობილი ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე; 4. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. ტექნიკასა და მედიცინაში გამოყენებული აზოტისა და წყალბადის ნაერთი მწვავე სუნის აირი; 11. „ვეფხისტყაოსანი“-ს დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

**თარაზულად:** 1. მდინარე უკრაინა-მოლდავეთის საზღვარზე; 5. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 7. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილება; 22. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

